

შოკლად

თბილისი. "ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის" ლიდერი ირაკლი სერეთე-ლი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ გამოირიცხავს. **პრაიმ-ნოუსი**

■ ■ ■

თბილისი. დღეს გაერო-ს უშიშროების საბჭოში აფხაზეთის პრობლემასთან და-კავშირებით გაიმართება დახურული კონსულტაციები. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა მიმართა პარ-ლამენტს, შაბათს სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლოს საწესიის გარეშე ორგანიზებული თბილისში მცხოვრები ჩეჩენი დევნილების შეშინმების გა-მო, დააყენოს სამართალდამცავი ორგანოების პირველი პირების პასუხისმგებლო-ბის საკითხი. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი ზურაბ ჭვანია ვარაუ-დობს, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია დიდი ხნით ადრე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ამ შეიძლება ბავშვების დაკავება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჩეჩნები არიან. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. დეპუტატ ელენე თევდორაძის თქმით, საქართველოს ხელმძღვანე-ლობა შაბათს განხორციელებულის მსგავსი ღონისძიებებით "სხვის ნისქივლზე ას-ხამს წყალს". **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ტრადიციონალისტთა ფრაქციის აზრით, შაბათის აქციის განხორცი-ელება მიმართულია რუსეთთან ურთიერთობების გამოსწორებისკენ მხოლოდ ერთი მიზეზით - რათა ედუარდ შევარდნაძეს მოსკოვის მხრიდან არავითარი საფრთხე არ დაემუქროს. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

მოსკოვი. რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ გენადი სელეზ-ნიოვმა აბსურდული უწოდა ქართველ პარლამენტართა მოთხოვნას, რომლებიც რუ-სეთს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების ყოფნის სანაცვლოდ მილიარდი დოლარის ოდენობის ანგარიშს უყენებენ. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

პორტო. პორტუგალიის ქალაქ პორტოში მუშაობა დაასრულა ეუთო-ს მინისტრ-თა საბჭოს მე-10 სხდომაშ, რომელშიც მონაწილეობდნენ 55 ქვეყნისა და 28 საერთა-შორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. საქართველოდან სხდომას ესწრებოდა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით აფციაური. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტის გაუქმების საკითხთან და-კავშირებით ეროვნულ-დემოკრატიული პარტია სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან კენსულტაციებს მართავს. მიმდინარეობს დოკუმენტის პროექტის მომზადება, რომე-ლიც მოგვიანებით ხელმოსაწერად მოსახლეობას წარედგინება. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

თბილისი. 16-18 დეკემბერს გაიმართება რუსეთის, აზერბაიჯანისა და საქართვე-ლოს მესაზღვრეთა ერთობლივი სამეთაურო-სამტაბო სწავლებები. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

სოჭი. რუსეთმა საქართველო-რუსეთის საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე და-მატებითი სასაზღვრო ჯარები მოხსნა. ეს გადაწყვეტილება თოვლის მოსვლასა და უღელტეხილების ბუნებრივად ჩაკეტვასთან გახლდათ დაკავშირებული. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარი ელენე თევდორაძე 11 დეკემბერს პარიზში დაგეგმილ ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის სხდომას დაესწრება, სადაც საქართველოს საკითხზე ევროსაბჭოს ახალი მომხსენებელი უნდა აირჩიონ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ევროსაბჭოს მონიტორინგის კომიტეტის მორიგი სხდომა, შესაძლოა, საქართველოში ჩატარდეს. ამის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას მონიტო-რინგის კომიტეტი პარიზში, 11 დეკემბერს დაგეგმილ სხდომაზე მიიღებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ზუგდიდი. გუშინ ზუგდიდში ჩამოყალიბდა სამეგრელო-ზემო სვანეთისა და აფხაზეთის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" რეგიონული ორგანიზაცია. **ინ-ტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს მომავალი წლიდან ექვსი მიკროაეროდრომი შეემატება. **მედია-ნოუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ლეიბორისტული (შრომის) პარტია პროტესტს გამოთ-ქვამს პოლიციელების მიერ ტელეკომპანია „კავკასიის“ ჟურნალისტების მიმართ განხორციელებული ძალადობის გამო და აცხადებს, რომ ხელისუფლება კარგავს მართვის სადავეებს. **მედია-ნოუსი**.

■ ■ ■

ჩეჩნეთში შიხმა დაისადგურა - მილიცია აღმოაჩინაოზრივებისგან იქმნება

ჩეჩნეთის მოსახლეობაში განსხვავებული აზრი არსებობს მოსკოვში შემუშავებული გეგმის შესახებ, რომელიც ფედერალური ორგანოების უფლებამოსილების ახლადშექმნილი ჩეჩნური მილიციისთვის გადაცემას გულისხმობს.

თიხარ ალიაჰი IWPR-ის კორესპონდენტი

ნოემბრის შუა რიცხვებში ჩეჩნეთში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა - ცენტრ-თან დაპირისპირების დაწყებიდან პირ-ველად, ადგილობრივ მილიციას რეს-პუბლიკის ტერიტორიაზე სრული "უფ-ლეუბამოსლება მიეცა. რუსეთის ფედერ-აციის შინაგან საქმეთა სამინისტროს, 1999 წელს შექმნილი ჩეჩნეთის სამმარ-თველო რეორგანიზებულია დამოუკი-დებელ უწყებად - ჩეჩნეთის რესპუბლიკ-ის შინაგან საქმეთა სამინისტროდ.
ახალი სტრუქტურა რეალურად ფუნქციონირებას 2003 წლის პირველი იანვრიდან დაიწყოებს, როდესაც ძალაში შევა ბრძანებულება ჩეჩნეთის რესპუბ-ლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნის შესახებ და გაუქმდება აქამდე მოქმედი შინაგან საქმეთა დროებითი განყოფილებები, რომლებიც დაკომპ-ლექტებული იყო რუსეთის რეგიონები-დან მოწვეული მილიციელებისგან.
ახალი უწყების შექმნის ოფიცია-ლურად გაცხადებული მიზანია - მოს-კოვისადმი ლოიალურად განწყობილი ადმინისტრაციისათვის, ახმადა კადი-როვის ხელმძღვანელობით, პოზიციე-ბის გამყარება და ფედერალური შინა-გან საქმეთა სამინისტროს გათავი-სუფლება ჩეჩნეთში კანონიერების დაცვის მძიმე ტვირთისგან.
მაგრამ გადაწყვეტილებამ რეს-პუბლიკის სამართალდამცავი სისტე-მის ფედერალური სტრუქტურის დაქ-ვემდებარებიდან გამოყვანის შესახებ უარყოფითი რეაქცია გამოიწვია თა-ვად ჩეჩნეთში, სადაც უკვე ახლა გაცხარებული კამათი მიმდინარეობს.
"ჩვენ მივსალაგებთ ამ გადაწყვე-ტილებას" - აცხადებს გროზნოს ერთ-ერთი უზნის მილიციის უფროსი სულ-ტან საბაუევი. - ჩეჩნეთში ნესრიგი მხო-ლოდ ჩეჩენებმა უნდა უზრუნველყო-
თუმცა, ბევრ ადგილობრივ მცხოვ-

პირველი გვიარდიდან

სარგებლობაში არსებული მიწის სა-ფასურის სანაცვლოდ. ხოლო საკო-მუნეიკაციო მომსახურებისა და საბა-ყო გადასახადების თანხა დამატე-ბით კიდევ 6,5 მილიონ დოლარს შე-ადგენს.

აქედან გამომდინარე, საქართვე-ლოს შეუძლია არა მხოლოდ გაქვი-თოს საკუთარი ვალები, არამედ სო-ლიდური თანხის გადახდა იქით დაა-კისროს რუსეთის ხელისუფლებას. მაგრამ ამის გაკეთებას პოლიტიკური ნების უქონლობა აბრკოლებს. სწო-რედ პოლიტიკური ნების უქონლობა იყო მიზეზი იმისა, რომ საქართველომ თავის დროზე არ მიიღო მონაწილეო-ბა რუსეთ-უკრაინას შორის შავი ზღვის ფლტის გაყოფის თაობაზე მიმდინარე მოლაპარაკებაში, რისი შე-დეგიც, როგორც იტყვიან, სახეზეა - საქართველოს შავი ზღვის ქონებთან მხოლოდ ფოთის განადგურებული ბა-ზა და სამხედრო პორტში ჩაძირული რამდენიმე კატარლა ერგო, რომლის ამოღებასაც წლები დასჭირდა.

უკეთესი სურათი არც სხვა სახეო-ბის ჯარების შეიარაღებისა და ტექნი-კის მხრივ არსებობს. სანამ საქართვე-

პრეზიდენტი 200-ლარიანი სამხედრო ბაზარის ბაუქმების მოხსრია

პირველი გვიარდიდან

დღეისათვის, როცა სამშენიადგო-მა განვევის დასრულებამდე 23 დღეა დარჩენილი, უკვე ამკარაა, რომ კა-ნონი ვერ მუშაობს. როგორც თავ-დაცვის სამინისტროს შეიარაღებუ-ლი ძალების გენშტაბის, პირადი შე-მადგენლობისა და საორგანიზაციო-სამოთხილზაციო მთავარი სამმართველოს წევვამდელთა აღრიცხვის, მომზადებისა და დაგეგმვის განყო-ფილების უფროსმა, ვიცე-პოლკოვ-ნიკმა ილია ჭელიძემ გვაცნობა: "5 დეკემბრის მონაკვეთები, 200 ლა-რი 897 წვევამდელმა გადაიხადა, სულ კი, კანონის ამოქმედების შემ-დეგ, თავდაცვის სამინისტროს სპეცანგარიშზე თანხა 1531 წვევა-მდელმა შეიძნა. აქედან 634-მა სა-გაზახედლო განვევის დროს".

შესაბამისად, 16-18 მილიონის ნაცვლად, თავდაცვის სამინისტრომ მხოლოდ 256 ათასი ლარი მიიღო (მოსაკრებელი თანხიდან 20 პრო-ცენტი სახელმწიფო ბიუჯეტში მი-დის), 1531 წვევამდელის გადახდილ 200 ლარს ოთხი წვევამდელის მიერ გადახდილი 200 ლარიც (სულ რვა ათასი) დაემტოა, რომლებმაც სამ-

ლოში სპეციალისტები რუსეთის ბა-ზების ხელთ არსებული სამხედრო ქონების ნუსხას ადგენდნენ, რუსეთმა ფასურის სანაცვლოდ, ხოლო საკო-მუნეიკაციო მომსახურებისა და საბა-ყო გადასახადების თანხა დამატე-ბით კიდევ 6,5 მილიონ დოლარს შე-ადგენს. 10 მილიარდი ღირებულების ქონება, რომელიც რუსეთმა საქართველოდან გაზიდა. თუმცა, კომპენსა-ციის მოთხოვნის თემა საგაზეთო სტატიებსა და რადიოინტერვიუებს, არსებითად, არ გასცდენია.

ასევეა სამხედრო ბაზების ბეგა-რის შემთხვევამიც. აღსანიშნავია, რომ ორმხრივი მოლაპარაკების დროს, საქართველოს ხელისუფლე-ბას არც ერთხელ პრინციპულად არ მოუთხოვია, რომ რუსეთმა სახელმწი-ფო ვალად ცნოს სამხედრო ბაზების მიერ გადაუხდელი გადასახადები.

ამის გამო, საქართველოს აღმასრუ-ლებელი ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წარმომადგენლების მხრიდან ხშირად გაიგონებთ საქმაოდ გაუგებარ პასუხებს იმაზე, თუ რო-გორ უნდა მოხდეს პერსპექტივაში ამ თანხების ამოღება და, საერთოდ, რა სახის გადასახადებს იხდიან საქარ-თეის მხრივ არსებობს. სანამ საქართვე-

ვასიკო გიგოლაშვილი (საქართვე-ლოს ფინანსთა მინისტრის მოად-გილე): *"წესით, მათ უნდა გადაიხა-დონ მიწის გადასახადი, მაგრამ არ ვიცი, არსებობს თუ არა ორმხრივი ხელშეკრულება ამ პრობლემის თა-ობაზე. 1994წელს იყო ლაპარაკი რაღაც ხელშეკრულებაზე, მაგრამ რატიფიცირებულია თუ არა, არ ვი-ცი. იმ ხელშეკრულებაში, მგონი, იყო რაღაც ჩანაწერები, რომელიც გარკვეულ შეღავათებს აძლევდა ამ ბაზებს. მაგრამ, წესით და რი-გით, მათ უნდა გადაიხადონ ყველა ის გადასახადი, რაც ქვეყანაშია მი-ღებული."*

ვასიკო გიგოლაშვილის განცხა-დებით, საქართველოს ფულად-საკ-რედიტო პოლიტიკაში დღემდე ხინ-ვად რჩება ის ფაქტი, რომ რუსი სამხედროები ხელფასს რუსულ რუბლებში ღებულობენ, რაც არლ-ევებს ერთიან სავალუტო სივრცეს. აქედან გამომდინარე, პარლამენტის დავალება, რომ სამ თვეში მოხდეს რუსეთის ბაზებთან დაკავშირებულ ყველა საფინანსო პრობლემის მოგ-ვარება, ცოტა არარეალურად გამო-იყურება. საკითხს მეტიმსებად რთულს უწოდებს პარლამენტის სა-

ფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზაზა სიორიძე, რო-მელმაც, პოლიტიკური შეთანხმების არსებობის გარდა, ერთგვარ დაბ-არკოლებად, ე.წ. "ნულოვანი ვარიან-ტიც" ასხენა. ზაზა სიორიძე: *"ეს ის საკითხია, რომელიც "ნულოვან ვარიანტზე შეთანხმების დროს მხედველობაში უნდა მიგვეღო და, რატუნზიაც, ეს ვერ მოხერხდა. მაგრამ, მოხედავად ამისა, საქართველოსთვის არავის წაუერთებია უფლება, რომ ეს პრე-ტენზია იქნეს წაყენებული. ციფრი დადგინდება და ეს პრეტენზია იქენ-ბა სეროზულად დაყენებული რუსე-თის მხარის წინაშე."*

მეტიც, ზაზა სიორიძე დარწმუნე-ბულია, რომ საქართველოს აქვს უფ-ლება არა მხოლოდ პრეტენზიის წა-ყენებისა, არამედ - ამ ვალის დაფარ-ვის კატეგორიულად მოთხოვნაც შე-უძლია. მაგრამ, როგორც ყოველთ-ვის, საკითხი ღიად რჩება და უცნო-ბია, თუ როდის მოსთხოვს ვალს სა-ქართველო "ჩრდილოელ მეზო-ბელს", რომლის ხელშიც კვლავ რჩე-ბა ძლიერი ზემოქმედების ბერკეტი ბუნებრივი აირის, ელექტროენერგი-ისა და "მეხუთე კოლონის" სახით.

ბედრო სამსახურიდან საერთოდ გა-თავისუფლება გადაწყვიტეს.

"პირადად ჩემთვის ასეთი შედე-გები მოსალოდნელი იყო. კანონის თანახმად, წვევამდელთა იმ კატე-გორიას, რომლებიც სამხედრო კა-თედრის მეორე-მესამე და ზემო კურსებზე სწავლობენ, გადავადე-ბის უფლება არ ჰქონდათ. ამით თავდაცვის სამინისტრომ საქმაოდ დიდი კონტინენტი დაკარგა. მეო-რცე, როგორც ირკვევა, პირველ კურსელთა უმრავლესობა, დაახ-ლოებით, 60-70 პროცენტი, 16-17 წლისანი არიან, მაშინ, როცა ჯარ-ში მხოლოდ 18 წლის ახალგაზრდე-ბის განვევა შეიძლება. შესაბამი-სად, გადაიხდა დარჩენილმა პრო-ცენტმა, ისიც არასრულად. არის კიდევ ერთი მომენტიც: პირადად მე მიზანნია, რომ ჩვენ არა გვაქვს სამხედრო სამსახურისთვის შესა-ბამისი პირობები, ამიტომაც არც ჯარში წასვლა უნდათ და არც ბე-გარის გადახდა," - ასე ხსნის სამ-ხედროების ნოუ-პაუს ჩავარდნას გივი იოკურიძე.

კიდევ ერთი ფაქტორი, რამაც ასეთი შედეგი განაპირობა, ახალ კა-ნონში არსებული ხარვეზებია. დღეი-

სათვის 1000-მდე წვევამდელს დანე-რილი აქვს განცხადება, რომ ბეგარას გადაიხდის (კანონით, მათ ამის უფ-ლება განვევის ბოლო დღემდე აქეთ).

"კანონის ეს მოთხოვნა წვევამდე-ლებს დამალვის საშუალებას აძ-ლევს. როგორც წესი, როცა მათ ეო-მისარიატის წარმომადგენლები იჭერენ, ისინი იქვე წერენ განცხა-დებებს, რომ თანხას გადაიხდიან, შემდეგ კი იმალებიან. სამწხა-როდ, მათი დაჭერაც რთული საქ-მეა. სახლში შესვლისთვის ჩვენ სა-სამართლოს საშქცია გვჭირდება, საწქციას კი, როგორც წესი, მოსა-მართლედ არ გასცემს, რადგან ამას წვევამდელის წერილობითი თანხ-მობა სჭირდება. აბა, მითხარით, რომელი წვევამდელი მოგინერს ხელს იმაზე, რომ სახლში მიაღვე და ჯარში წაიყვანო. ამიტომ გუ-ლუბრყვილობაა ფიქრი, რომ თავ-დაცვის სამინისტრო, იმ 1000 კაცი-დან, ვინც განცხადება დაწერა, 30 დეკემბრამდე კიდევ 200 ათას ლარს მიიღებს," - გვითხრეს ვაკე-საბურ-თალოს რაიონის კომისარიატში.

ახალი კანონის მუშაობით უკმა-ყოფილოა პრეზიდენტიც, რომელმაც ამის შესახებ ორი დღის წინ სპეც-



შინაგან საქმეთა მინისტრის ბორის გრიზლოვის დირექტივის თანახმად, უკვე მოხდა ყოფილი მს სამმართვე-ლოს, საქალაქო და რაიონური განყო-ფილებების ხელმძღვანელთა ატესტა-ცია, - აცხადებს მინისტრი, - რამდენი-მე ადამიანი იქნა დათხოვნილი ან გა-

ლია ეერსია იმის შესახებ, რომ "რუსეთის სურს, ჩააბაროს ჩეჩნეთი ვაჰაბიტებს" და რომ ადგილობრივი მილიციის რი-გებში უკვე ბევრი რადიკალი ისლამის-ტია თავმოყრილი. ხალხს აფრთხობს ის, რომ სპეციალის ასეთი განვითარება აჩენს ახალი მასშტაბური ქმედებების პერსპექტივას. "ყველა ვაჰაბიტი, დიდი ხანია, მილიციაშია, - აცხადებს ინგუ-შეთში გადასახლებული მანსურ ხიზრი-ევი. - გუშინდელი ბოევიკები დღეს კვ-ლავ იარაღით ხელში არიან. ხვალ რუსი სამხედროები ნავლენ და ხელისუფლე-ბაში ვაჰაბიტები აღმოჩნდებიან".

ამ მოსაზრებას ბევრი რუსი სამ-ხედროც ეთანხმება. ჯარისკაცებისთ-ვის დამახასიათებელი მოსაზრება - ვა-დღიანი სამხედრო სამსახურის ერთო-რთბე მოსამსახურედ განაცხადა: "ყველა ჩეჩენი ბანდიტია, ჩვენ კი მათ იარაღს ვაძლევთ, გენერლებად ვაქცევთ და ამით ახალ დღედავებსა და მასხადო-ვებს ვამზადებთ".

საინტერესოა, რომ გადაწყვეტი-ლება ჩეჩნეთის ფედერალური პო-ლიციური ძალების გვერდის შესახებ, დროში დაემთხვა კადიროვის პრომოს-კოვურ ადმინისტრაციასა და ჯარს შორის ურთიერთობების დაძაბვას. ამის მიზეზი კი ადამიანების გაუჩინა-რება, ფედერალური უშიშროების ძა-ლების საქმეპრაქტიკის შემდეგ ჩეჩ-ნური სოფლებიდან ახალგაზრდა მამა-კაცების დაკარგვა გახდა.

"ამ კვირას ჩემი მშობლური სოფ-ლიდან ცხრა ადამიანი წაიყვანეს. ჯერ-ჯერობით ვერ გაგვირკვევია, სად იმ-ყოფებიან ისინი ამაჟამად. როგორ შეე-ხოდნენ თანასოფლელებს თვალმძიმე?" - განუცხადა 15 ნოემბერს საავგენტო "ინტერფაქსს" კადიროვმა. შესაძლოა, ეს უთანხმოება ხსნის, თუ რატომ არ სურთ, რუს ძალებნებს ჩეჩნური მილიციას ყველა უფლებამო-სილება გადასცნენ. რუსეთის ფედერა-ციის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახურის ცნობით, "კომენდა-ტურებისა და ადგილობრივი ხელისუფ-ლების მხარდასაჭერად" რესპუბლიკა-ში განთავსებულია რუსეთის შს-ს ში-ნაგანი ჯარის 46-ე პრეტენდა და თავ-დაცვის სამინისტროს 42-ე ბრიგადა. პრეს-სამსახურის ხელმძღვანლის მამო-რი ისტორიის თქმით, სხვა ნაწილების-გან განსხვავებით, ისინი ჩეჩნეთში მუდმივად არიან განთავსებული.

გამომცემელი რთაუთი 2 პრინტი. მშპმპარი რამდამტმრი მამაჟა ფრუჟაშვილი. პაპტა გუჰაშიძე (მმართველი რედაქტორი), გახტან ღადირაძე (გამომშემი რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამბამშპში: დღდაცალკი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მაღალა ხარბული, სამყარო - ქეთევან სადლობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ ღრუჟა, სტილი - ჰიშინა მაჟაშვილი, მედიცინა - ზაზა ფარჟაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალაიდაძე, საბავშვო - ვალერი ზინჭარაძე. შშშტქ: ლევან ყოფიანი (რედაქტორი), ბესი ჭალამაძე (მხედვერი). ღმზინიში: გიორგი კიკილაშვილი, გიორგი ხნლაძე. კომპიუტმინტული (მშნდნე): თამარ ზინაძე (მხედვერი), მიაი ყიასაშვილი, ლელა ნიქარიშვილი, ბექა პალარაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი მალუტაშვილი, ირაკლი ბოლაშვილი, ალექსანდრე მათიორშვილი, თენგიზ ქირია, პაპტა ქირიძე. ტმშშტქ: ნანა ჯოხარიძე, თამარ ცვაჭვანტრაძე, ჟუჟანმერ ტკიარაძე, ლია თოფურია, რამლაშა - ზურა ჯაოშვილი.

ოპისჯამდგომი არაყი: სამი სავარაუდო სცენარი

ჰოთა უტიაჰვილი

ერაყთან ომის შემდეგ, ამერიკელუბი მთლიანად ხელში ჩაიგდებენ ახლო აღმოსავლეთის ნავთობზე კონტროლს, მსოფლიო ბაზარზე გაიტანენ ერაყის ნავთობს, რაც ამ სტრატეგიულ ნედლეულზე ფასს დიდი ხნით დააგდებს. ეს კი, ერთი მხრივ, ურთულესი პრობლემების წინაშე დააყენებს რუსეთის მთლიანად ენერგეტიკაზე დამოკიდებულ ეკონომიკას, მეორე მხრივ კი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის ძვირადღირებული კასპიური ნავთობის ათვისებას. ამიტომ, შესაძლოა, დასავლეთმა ხელი აიღოს კასპიის ქვეყნების დამოუკიდებლობის მხარდაჭერაზე და იგი „კომპენსაციის“ სახით, რუსეთს დაუთმოს – შესაძლო ომისა და მისი შედეგების ამგვარ გამარტივებულ ასხნას მასშედიამი ხშირად ნააწყდებით. ამ მოსაზრებებს ანალიტიკოსები ნაკლებად იზიარებენ და მოვლენათა განვითარების სხვადასხვა შესაძლო სცენარებს გვთავაზობენ.

საერთაშორისო ურთიერთობათა სამეფო ინსტიტუტის (დიდი ბრიტანეთი) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ომისშემდგომ ერაყში მოვლენები რამდენიმე სცენარით შეიძლება განვითარდეს, რომლებიც ნავთობის მსოფლიო ბაზარზე სრულიად განსხვავებულ გავლენას მოახდენენ.

ნავთობის საერთო მარაგით (112-130 მილიარდი ბარელი) ერაყი მესამე ადგილზეა მსოფლიოში, საუდიის არაბეთისა და რუსეთის შემდეგ. თუმცა, ომითა და ეკონომიკური სანქციებით გამოწვეული ზარალის გამო, იგი ამჟამად მსოფლიო ექსპორტის მხოლოდ 2 პროცენტს აკონტროლებს, რაც დღეში 1,2 მილიარდ ბარელს შეადგენს (საუდიის არაბეთი აწარმოებს ათ მილიარდ ბარელს). სანქციების მოხსნის შემდეგ, ერაყი შეძლებს წარმოება 4 პროცენტამდე გაზარდოს, ხოლო მასობრივი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შემთხვევაში, ხუთი-ათი წლის შემდეგ 6-პროცენტთან ზღვარს მიაღწიოს.

ინსტიტუტის ექსპერტების აზრით, ნავთობის ეს რაოდენობა არ არის საკმარისი მიზეზი აშშ-ს მიერ ძვირადღირებული და სარისკო კამპანიის დასაწყებად. რასაკვირველია, ერაყის ნავთობი ძალზე მნიშვნელოვანია ბრიტანული და ამერიკული მთავრობებისა და ნავთობკომპანიებისათვის, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის საფრთხე, რომელსაც ერაყის საგარეო პოლიტიკა უქმნის გაშინგტონისა და ლონდონის ინტერესებსა და მოკავშირებს რეგიონში. ერაყი მეტისმეტად დიდი, ძლიერი, მდიდარი და გავლენიანია საიმოსოდ, რომ იგი ურჩი დიქტატორის ხელში დარჩეს.

ანალიტიკოსების აზრით, ომის შემდეგ, ერაყში მოვლენები სამი სცენარის მიხედვით შეიძლება განვითარდეს.

ობტემინიზაციის სცენარის თანახმად, აშშ სწრაფად და უმსხვირესოდ ასრულებს ომს და ქმნის ახალ, მეგობრულად განწყობილ მთავრობას, რომელიც ერაყელი ხალხის მხარდაჭერითაც სარგებლობს. ახალი მთავრობა სწრაფად ასრულებს ერაყის განთარაღების პროცესს და გაერო-ც სანქციებს ხსნის. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა შენარჩუნებულია, სავარაუდოდ, ფედერალური მონაკობის საფუძველზე. ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლები მთავრობაში შედიან. სხვა არაბული ქვეყნები მეტ-ნაკლებად ურიგდებიან ერაყში ახალ ვითარებას.

ამ სცენარის თანახმად, ქვეყნის ნავთობის ინფრასტრუქტურა განადგურებას გადაურჩება, რაც სახელმწიფო ნავთობკომპანიას საშუალებას მისცემს, სწრაფად აღადგინოს მოპოვების ოპმადელი დონე – 3,3 მილიონი ბარელი დღეში, ერაყი არ ხდება ოპეკის წევრი.

ნელ-ნელა ერაყის სახელმწიფო ნავთობკომპანია იწყებს პუსეინის დროს ხელმოწერილი კონტრაქტების გადახდევას და იმ გარიგებების გაუქმებას, რომლებშიც ინვესტორებმა პირობები ვერ შეასრულეს. გათავისუფლებულ სივრცეს ამერიკული და ინგლისური კომპანიები იკავებენ, რომელთაც პუსეინის დროს ერაყში მუშაობა აკრძალული ჰქონდათ. კონტრაქტების გადახდვის პროცესი ძალზე რთულად მიმდინარეობს, მაგრამ ბოლოს რაღაც ბალანსი მაინც მყარდება. ერაყი უფრო მომთხოვნი ხდება ნავთობკომპანიების მიმართ. 2005-6 წლისთვის ქვეყანა დღეში 4 მილიონ ბარელს აწარმოებს, 2010 წლისთვის კი - 6 მილიონს. ეს გარკვეულ გავლენას ახდენს მსოფლიო ფასზე, მაგრამ რადიკალურად არ ცვლის ვითარებას.

რეალისტური სცენარის თანახმად, მოკავშირეთა მიერ ერაყის ოკუპაციამდე, ერაყელ ოფიცერთა ჯგუფი აწყობს სახელმწიფო გადატრიალებას და ამხობს პუსეინის რეჟიმს. ახალი მთავრობა ძველისაგან ბევრით არაფრით განსხვავდება, მაგრამ ამერიკელთა მიზნალურ მოთხოვნებს მაინც ასრულებს. ნევცტს მასობრივი განადგურების იარაღის პროგრამებს, და თანხმდება გაერო-ს გრძელვადიან ინსპექციაზე.

ქვეყანა თავიდან აიცილებს ამერიკულ ოკუპაციას, მაგრამ სანქციების რეჟიმი გრძელდება, შესაძლოა, უფრო შეზღუდვული სახით. გაერო მოითხოვს, რომ ახალმა მთავრობამ ნავთობის გაყიდვით მიღებული შემოსავალი არასამხედრო მიზნებისათვის, საგარეო ვალის მომსახურებისათვის, რეპარაციებისა და ჰუმანიტარული მიზნებისათვის გამოიყენოს.

ნავთობის მრეგველობის განვითარება პირველი სცენარის მსგავსად მოხდება, თუმცა, გაჭირდება ქვეყანაში ამერიკული და ბრიტანული კომპანიების შეღწევა და გათვლდება გააღწევეტილებით მიღების პროცესი. ნავთობის წარმოება 2010 წლისათვის დღემდე ხუთ მილიონ ბარელს მიაღწევს.

პესიმისტური სცენარის მიხედვით, ერაყში ამერიკელების მიერ დასმული მთავრობა ვერ მოახერხებს სახალხო მხარდაჭერის მოპოვებას. სუნიტებს, შიიტებს, თურქმენებსა და ქურთებს შორის არამყარი ნონასწორება დამყარდება, რომელიც ხშირად ირღვევა. ირანი მხარს უჭერს შიიტებს, თურქეთი – თურქმენებს, საუდის არაბეთი – სუნიტებს. ერაყში და სხვა არაბულ ქვეყნებში ამერიკელების წინააღმდეგ მასობრივი საპროტესტო გამოსვლები იწყება.

რეგიონში მუშაობა ამერიკული და ევროპული კომპანიებისათვის სულ უფრო ძნელი ხდება. საუდის არაბეთი უარს ამბობს ფასების სტაბილიზაციის ჩვეულ პოლიტიკაზე. რეგიონული არასტაბილურობა და გაურკვეველი მომავალი ნავთობზე საერთაშორისო ფასების ზრდას იწვევს. მაღალი ფასები 3-5 წლის მანძილზე შენარჩუნდება.

ამ ანალიზის ავტორები ამტკიცებენ, რომ ეს სცენარები, რასაკვირველია, არ არის წინასწარმეტყველებები, რომელთაგან ერთ-ერთი აუცილებლად უნდა ასრულდეს, მაგრამ ომის შემდგომ ერაყში მოვლენათა განვითარება, წესით, უნდა ჩაჯდეს ერთ-ერთი ვარიანტით მოხაზულ ჩარჩოებში.

ვენესუელაში პოლიტიკური კრიზისი გამწავდა

ვენესუელის დედაქალაქ კარაკასში პრეზიდენტ ჰუგო ჩავესის ოპოზიცია და მათი მხარდამჭერები მოლაპარაკებების გავრძელებაზე უარს აცხადებენ და პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვენ.

ვენესუელის პოლიტიკურმა კრიზისმა, შესაძლოა, ნავთობის ფასებზეც იქონიოს გავლენა.

ვენესუელის პრეზიდენტის პოლიტიკურ მონინალმდევგთა შეურიგებელი პოზიცია პარასკევს პოლიციის მიერ სამი დემონსტრანტის მიკვლამ და 29 მშვიდობიანი მოქალაქის დაჭრამ გამოიწვია. ამ ფაქტმა ვენესუელის კრიზისის პოლიტიკური გზით მოგვარების შესაძლებლობა, თითქმის, ნულამდე დაიყვანა. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო ლიდერები ჩავესის ოპოზიციონერ სამხედრო პირებს შეუერთდნენ, რომლებიც პრეზიდენტის უპირობო გადადგომას მოითხოვენ.

ჩავესის მემარცხენე-პოპულისტურმა პოლიტიკამ საშუალო და მაღალი ფენების აღშფოთება გამოიწვია. თვეების განმავლობაში პრეზიდენტის სამოქალაქო ოპოზიცია უპირატესობას ვადამდელ არჩევნებს ანიჭებდა. სწორედ ამ მოთხოვნას უყენებდნენ ისინი ვენესუელის ხელისუფლებას ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციის შუამდგომლობით გამართულ მოლაპარაკებებზე, რომელსაც ამავე ორგანიზაციის გენერალური მდივანი ცეზარ გავირია აწარმოებდა.

თუმცა, პარასკევს მომხდარი სისხლისღვრის შემდეგ, დისიდენტი გენერლების მიერ გამოთქმულმა რადიკალურმა მოთხოვნებმა ოპოზიციის თვალში მეტი წონა შეიძინა. ოპოზიციის ლიდერებმა განაცხადეს, რომ სახელმწიფოსათვის უზარმაზარი ზარალის მომტანი ვაფიცვა მანამ გაგრძელდება, სანამ ჩავესი მათ მოითხოვნებს საბოლოოდ არ დაემორჩილება. აღსანიშნავია, რომ პარასკევს ჩავესმა ვენესუელის ცნტრალური გაზეთის რედაქცია დაარბია.

“ახლა ერთადერთი გამოსავალი პრეზიდენტის გადადგომა და ახალი არჩევნების დანიშვნაა, - განაცხადა რაფაელ ალონსომ, შუამავალმა, რომელიც უდიდეს ბიზნეს-გაერთიანებას - “ფედეკამარას” წარმოადგენს, - ახლა, მოლაპარაკებებისას მხოლოდ გადადგომის პირობები უნდა განვიხილოთ”.

მასობრივმა გაფიცვამ ნავთობის ექსპორტის შეფერხება გამოიწვია. ვენესუელა ნავთობით ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი სახელმწიფოა მსოფლიოში. სახელმწიფო ბუჯეტს ნავთობის გაყიდვა ყოველწლიურად 9 მილიარდი დოლარის შემოსავლს აძლევს. ნავთობი საბოუეტო შემოსავლების პრევიარზე მეტს და მთლიანი შიდა პროდუქტის ერთ მესამედს შეადგენს. ვენესუელა ყოველდღიურად, დაახლოებით, სამ მილიონ ბარელ ნავთობს აწარმოებს, რომლის 75 პროცენტი საქესპორტოდ გადის.

ამავდროულად, სანგაის დფიციტი თავად ვენესუელაში შეიქმნა. ამდენი ხნის განმავლობაში ჩავესმა პირველად აღიარა, რომ “ნავთობის ინდუსტრია გარკვეულწილად დაზარალდა და ზოგიერთი ნავთობ-საბადო დახურულ იქნა”. მან საზღვაო ძალებს უბრძანა, რომ ერთი



ვენესუელაში მასობრივი გაფიცვები დაიწყო.

ტანკერი მაინც დატვირთონ ტბა მარაკაიპოსთან (ერთ-ერთი უდიდესი ნავთობსაბადო), სადაც მუშები გაფიცვას შეუერთდნენ. სახელმწიფო ნავთობკომპანიის კუთვნილი ტანკერების ეკიპაჟების უმრავლესობამ მუშაობაზე უარი განაცხადა.

ვენესუელის ნავთობკომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა ხორხე კამკოფმა “ბი-ბი-სი”-ს განუცხადა, რომ წარმოება 40 პროცენტით დაეცა, რასაც მაღელ ძირითადი ნავთობგადაამუშავებელი ქარხნების დაქცევა მოჰყვება.

პრეზიდენტმა ჩავესმა გამაფრთხილებელი განცხადება გააკეთა, რომ თუ უახლოეს ხანებში გაფიცვა არ შეწყდება, მაშინ იგი საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, ხოლო თავდაცვის მინისტრის ხოსე

ლუი პრიეტოს თქმით, ვენესუელის შეიარაღებული ძალები სანავთობო ინდუსტრიას დაიცავს.

თავისი მხარდამჭერებისადმი გაგზავნილ მიმართვაში ვენესუელის პრეზიდენტმა თავისი ოპონენტები ნავთობის ინდუსტრიის საბოტაჟში დაადანაშაულა. ჰუგო ჩავესის განცხადებით, სახელმწიფო კომპანია “PDVSA”-ის კუთვნილი ტანკერების გაფიცული კაპიტნები და თანამშრომლები დაითხოვნილები არიან.

მართალია, ჩავესმა განაცხადა, რომ უცხოელ კლიენტებს არაფერი არ დაემუქრებათ, მაგრამ ცხადია, რომ პოლიტიკური კრიზისი საერთაშორისო ბაზარზე აუცილებლად გავრცელდება.

ვენესუელა შეერთებული შტატების ნავთობის იმპორტის 15 პროცენტს აკმაყოფილებს. ექსპერტების

თქმით, ვენესუელაში არსებული კრიზისი აშშ-ში ნავთობის ფასებზე უარყოფითად აისახება და მათ გაზარდას გამოიწვევს. შეერთებული შტატებისათვის ვენესუელის ნავთობის მიწოდების შეწყვეტა ძალზე სერიოზული პრობლემაა, რადგან ალტერნატიული მომწოდებლის დაუყოვნებლივ მოძებნა არც თუ ისე იოლია, განსაკუთრებით, სპარსეთის ყურეში გარეულებული ვითარების ფონზე.

ექსპერტებს ვენესუელაში პოლიტიკური მოვლენების განვითარების ზუსტი პროგნოზირება უჭირთ. მათი თქმით, ორივე მხარეს სამხედროების არსებობა და ნავთობის ბიზნესის კონტროლის სურველი ვითარებას ამწვავებს და არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში სამოქალაქო ომი დაიწყო.

სირაბაი პრაზიდენტს ვერ ირჩავენ

უპრეცედენტო ამბავი ხდება სერბიაში. ბოლო სამ თვეში ამდენივე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, მაგრამ ქვეყანა მაინც ვერ ახერხებს უმაღლესი ხელისუფლის აირჩევას. ხალხი სრულ გულგრილობას იჩენს, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის კანდიდატებისა და იდეების მიმართ.

პირველ არჩევნებში, ერთმელიც სექტემბერში შედგა, ერთმანეთს იუგოსლავიის ამჟამინდელი პრეზიდენტი ვოისლავ კოშტუნიცა და სერბეთის ამჟამინდელი პრემიერის, ზორან ჯიჯიჩიჩის “კაცა”, მიროსლავ ლაბუში დაუპირისპირდნენ. იუგოსლავიის სახელმწიფო მონყობაში მეტახნილი ცვლილებების შედეგად, იგი ფედერაციული რესპუბლიკიდან სახელმწიფოთა კავშირად უნდა გარდაიქმნას და იუგოსლავიის პრეზიდენტის პოსტი გაუქმდეს. ჯიჯიჩიჩი და კოშტუნიცა ოპოზიციის ლიდერები იყვნენ და მთლოშევირის დამსობაში გადამწყვეტი როლი შეასრულეს, მაგრამ მას შემდეგ სამკედრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. კოშტუნიცამ უფრო ნაციონალისტურად განწყობილ ელექტორატზე გააკეთა აქცენტი, ჯიჯიჩიჩი კი ამომრჩეულებს პრო-დასავლურ, საბაზრო რეფორმებზე ორიენტირებულ ფიგურად წარუდგა.

29 სექტემბრის არჩევნებში კოშტუნიცამ გაიმარჯვა, მაგრამ ყოფნებთან ამომრჩეველთა მხოლოდ 45 პროცენტი გამოცენტზე მეტის მოგროვება ვერ მოახერხა და გამეორებითი არჩევნები 2 კვირის თავზე დაინშნა.

ოქტომბრის არჩევნები ისევ კოშტუნიცამ მოიგო, მაგრამ ყოფნებთან ამომრჩეველთა მხოლოდ 45 პროცენტი გამოიჩნდა, ამიტომ არჩევნები ჩაშლილად ჩაითვალა. ექსპერტთა შეფასე-

ბით, მოსახლეობის პასიურობის მიზეზს ორწლიანი რეფორმებითა და გაურთავებელი პოლიტიკური ბრძოლებით დააღლა და იმედგაცრუება წარმოადგენდა.

კონსტიტუციის თანახმად, მესამედ ხმის მიცემა ორი თვის შემდეგ, გუშინ ჩატარდა. ლაბუშმა თავისი კანდიდატურა მოხსნა. მისი მომხრეების დიდი ნაწილი არჩევნებზე არც მისულა. კომტუნიცას კონკურენციას ნაციონალისტები, ვოისლავ შეშელი და ნაკლებად ცნობილი პორისლავ პელევიჩი უწევდნენ. შემუშლა, რომელზეც ჰაავაში, იუგოსლავიის ტრიბუნალში საქმეა აღძრული, ამასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე უპასუხა, რომ თავს კარგ კანდიდატად არ მიიჩნევს, მაგრამ სერბიაში მასზე უკეთესები არ არიან. იმ აზრს, რომ კანდიდატთაგან არც ერთი პრეზიდენტობის ღირსი არ არის, სერბიაში ბევრი იზიარებს.

დღისითვის საბოლოო შედეგები ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, მაგრამ ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ ამომრჩეველთა აქტიურობა კიდევ უფრო დაბალი იქნება, ვიდრე წინა არჩევნებში. ასევე მოელოან, რომ კოშტუნიცა ყველაზე მეტ ხმას დააგროვებს, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

სერბეთის პრეზიდენტის პოსტი ამჟამად მილოშევიჩის ძველ თანამებრძოლს მილან მილუტინოვიჩს უკავია, რომელიც თავისი ხუთწლიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, საჯარუდოდ, ჰაავის ციხეში თავის ყოფილ უფროსს შეუერთდება.

თუ ამასობაში სერბია პრეზიდენტს მაინც ვერ აირჩევს, მის მოვალეობას პარლამენტის სპიკერი შეასრულებს (**რიტტერი, ბი-ბი-სი, სი-ენ-ენი**).

პოლიცია ირანში სტუდენტაზი დაარბია

7 დეკემბერს ირანის პოლიციამ თეირანის უნივერსიტეტის გარეთ თვითმყრელი 3000 სტუდენტი დაარბია, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური რეფორმების ჩატარებას მოიხმოდნენ.

სტუდენტების აზრით, უნდა გაიმართოს რეფერენდუმი, რომლის მეშვეობით ირანის პოლიტიკური მომავალი გაირკვეა.

7 დეკემბერი ირანში სტუდენტთა ეროვნული დღეა, რომელიც ყოველწელიწადს აღინიშნება. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ სტუდენტებს შეკრების უფლება მხოლოდ უნივერსიტეტის შენობის შიგნით მისცა. თუმცა, სტუდენტები მაინც უნივერსიტეტის გარეთ შეიკრიბნენ.

პოლიციამ დემონსტრანტებს ირგვლივ ავტობუსები შემოარტყა და 60-მდე ახალგაზრდა დააპატიმრა.

უნივერსიტეტის შესავლელთან მოწყობილ შეხვედრაზე ძალადობა სტუდენტებსა და კონსერვატორ პოლიტიკოსებს შორის ქვების სროლით დაიწყო.

საპროტესტო აქციაზე ისევ და ისევ პროფესორ ალაჯარის საქმემ გაიფლრა, რომელზეც “24 საათი” წინა ნომრებში უკვე იუწყებოდა. სტუდენტების სასამართლო ხელისუფლების რეფორმას მოითხოვდნენ. სასამართლო ხელისუფლებას კონსერვატორი მოღვათე აკონტროლებენ, რომლებიც მხოლოდ ირანის უმაღლეს ლიდერს აიათოლა ალი ხაზანის მითიჩილებიან.

ზემინის შეხვედრელებების მქონე პრეზიდენტის - მოჰამად ხათამის



საპროტესტო აქცია თეირანის ქუჩებში.

დემოკრატიული რეფორმების გატარების მცდელობები ირანის რთულ პოლიტიკურ სისტემაში, როგორც წესი, კონსერვატორების მიერ კონტროლირებად სასამართლოს მიერ იბლოკება.

აღსანიშნავია, რომ მოჰამად ხათამი, რომელიც სტუდენტთა ეროვნულ დღეს ყოველ წელიწადს ესწრება, ამჯერად სტუდენტებთან შეხვედრად არ გამოსულა. პრეზიდენტის მოუსვლელობამ სტუდენტ-

თა გარკვეულ ნაწილში აღშფოთება გამოიწვია. ისინი მის გადადგომასაც კი მოითხოვენ.

მიომზილველები აღნიშნავენ, რომ ირანში პოლიტიკური ვითარება დღითიდღე იძაბება.

ი ყ ა ვ ი თ ს ა უ უ ე !

და მოიგათ მრავალი პრიზი ჯაიანტთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას:
ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის
მაგნიტოფონები “ელიტელექტრონიქსისაგან”* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონე-
ბი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- სწორად უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

დავით აღმაშენებელმა დაარსა თბილისი?



კვირის კითხვას ჯაიანტი დაგისვამთ ტელევიზიის (“რუსთავი 2” და “პირველი არხი”),
რადიოსა (“ფორტუნა”, “ფორტუნა +”) და გაზეთის (“24 საათის” და “ალია”) საშუალებით.
გამოიხსნეთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარიტ:

- კი - დაარსებთ ნომერზე 111**
- არა - დაარსებთ ნომერზე 222**

- რაც მეტჯერ დაადასტურებთ ტელეფონის ზარით თქვენს სწორ პასუხს, მით მეტია მოგების შანსი.
- 14 დეკემბრიდან 25 იანვრის ჩათვლით ყოველ შაბათს 19:30 წთ-დან “რუსთავი 2”-ის პირდაპირ ეთერში შესდგება ნომრების ლოტოტრონიში გათამაშება. ლოტოტრონიში მოხდება იმ აბონენტთა ნომრები, რომელთაც ზემოთ მოცემული წესით დაარეგისტრირეს სწორი პასუხი.
- ყოველკვირეულად დასაჩუქრდება 15 იღბლიანი აბონენტი პირველი გათამაშების დღეს (14 დეკემბერი) ჯეოსელის პრიზების მოგების შანსი ეძლევათ იმ აბონენტებს, რომელთა სწორი პასუხი დაარეგისტრირდება 7 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით. მეორე გათამაშებაში (21 დეკემბერი) მონაწილეობას მიიღებენ ის აბონენტები, რომლებიც სწორ პასუხს დაარეგისტრირებენ 14 დეკემბრიდან 20 დეკემბრის ჩათვლით და ა.შ.
- დასაჩუქრებაში მონაწილეობის მისაღებად მობილური ტელეფონი ჩართული უნდა იყოს!
- თუ ლოტოტრონიდან ამოღებულ ნომერთან დაკავშირება შეუძლებელი იქნება, პრიზი ხელმეორედ გადათამაშდება
- პრიზი გადაეცემა იღბლიანი სიმ-ბარათის წარმომადგენს.
- დასაჩუქრებულ აბონენტს, სურვილისამებრ საჩუქრის შესაბამისი ფულადი თანხა არ გადაეცემა.
- ჯეოსელის ვიქტორინაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ჯეოსელის თანამშრომლებს, დილერებს, დისტრიბუტორებსა და მათი ოჯახის წევრებს.
- პრიზების გადაცემა მოხდება ყოველი გათამაშების დღიდან არა უგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

ნუ გაუშვებთ ხელიდან შანსს! დაარსით ჯაიანტთან და თქვენ უთუოდ გაბილივებთ ფორტუნა.

ჭ ე მ ს ე დ ი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაარსეთ 928 ან 822 770 100

*ელიტელექტრონიქსის გალაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
გათუში: გამსახურდიას 47, ერას 91; კუთხისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

მოკლედ

თბილისი. პარლამენტის შენიშვნების გათვალისწინებით ფინანსთა სამინისტ-რომ 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის გადამუშავება დაიწყო და შეჯე-რებულ ვარიანტს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მომავალი კვირის ბოლოს წარუდგენს.

“პარლამენტში ლობისტები ყველა დარგსა და სფეროს შეიძლება გამოუჩნ-დეს. თუ ბიუჯეტი უწყებების მიხედვით გაიწერა, ვიღას სჭირდება ერთიანი სა-ბიუჯეტო პოლიტიკა? მაშინ ნულარც ფინანსთა სამინისტროს დაავალებენ ბიუ-ჯეტის გაკეთებას, თანხებიც თვითონ დააწაწილიონ და პასუხისმგებლობაც თა-ვად იტვირთონ”, - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვასილ გიგოლაშ-ვილმა.

მინისტრის მოადგილე დარწმუნებულია, რომ თუ პარლამენტის მხრიდან კონს-ტრუქციული მიდგომა იქნება, 2003 წლის ბიუჯეტს უმაღლესი საკანონმდებლო ორ-განო მმდინარე წლის ბოლომდე დაამტკიცებს.

2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პარლამენტს სექტემბრის ბოლოს წარუდგინა. **ინტერ-პრესი**

-

თბილისი. აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ბრიტანული კომპანია BP-ს პრეზიდენტმა დევიდ ვუდფორდმა დარწმუნებით განაცხადა, რომ ნავთობსადენის მშენებლობის ღირებულება 2,950 მლრდ დოლარს არ გადააჭარბებს.

მისი თქმით, უახლოეს ხანებში დაიწყება მოლაპარაკებები ტრანსპირა მიწის მეპატარონებთან კომპენსაციის თაობაზე, სამშენებლო სამუშაოებს კი მომავალი წლის პირველი კვარტლის ბოლოს შეუდგიაინ.

აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობკომპანიის პრეზიდენტის ნათიგის თქმით, საქართველოს ეკოლოგიური ორგანიზაციების მოთხოვნით ნავთობსადენის ტრასა რომ ბორჯომის ხეობის შემოვლით გასულიყო, - ეს 15 თვით დაყოფნდება პროექ-ტის განხორციელებას და მის ღირებულებას 2,9-დან 4-5 მლრდ დოლარამდე გააძვი-რებდა. ამასთან, ალიევის თქმით, ნავთობსადენი ბორჯომიდან 15 კმ-ზე გაივლის. **მედია-ნუსი**.

-

თბილისი. პარლამენტის დადგენილებას «2003-2005 წლებში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების შესახებ» ფინანსთა სამინისტროში გაოგ-ნებულები შეხვდნენ. სამინისტროს ვარაუდით, თავდაცვის სფეროს დაფინანსების ამგვარმა მკვეთრმა ზრდამ, შესაძლოა, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი არარე-ალურად აქციოს.

2001 წელთან შედარებით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში თავდაცვის სა-მინისტროსთვის გათვალისწინებული ხარჯები 71 პროცენტითაა გაზრდილი. ასეთი ზრდა აცრვით საბიუჯეტო სექტორს, თუნდაც ყველაზე მნიშვნელოვანს, არ გააჩნია.

“ჩვენ მზად ვართ, დადგენილება შევასრულოთ, მაგრამ პარლამენტმა უნდა მიგვითითოს, ქვეყნის რომელ პრიორიტეტულ სფეროს - განათლებას, ენერგე-ტიკას, ჯანდაცვას თუ სოფლის მეურნეობას უნდა შეუდმცირთო ხარჯები და პა-სუხისმგებლობა ჩვენთან ერთად იკისროს”, - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მო-ადგილემ გიგოლაშვილმა.

მისივე თქმით, თუ პარლამენტის დადგენილება შესრულდება, თავდაცვის სამი-ნისტრო მომავალი წლის განმავლობაში 80 მილიონ ლარს მიიღებს. ამჟამად არსეუ-ლი პროექტით კი, მისთვის მხოლოდ 57 მილიონი ლარია გათვალისწინებული. **ინ-ტერ-პრესი**

-

თბილისი. ერთი კვირის განმავლობაში სურსათზე, კერძოდ, ხორცზე, გაყინულ თევზზე, ყველზე, ვაშლზე და მაქარზე ფასები საგრძნობლად შემცირდა, კვერცხი კი გაძვირდა.

სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ცნობით, ერთი კვირის განმავლო-ბაში სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 98,90 პროცენტი შეადგინა. მილიონობაში ფასები 1,10 პროცენტით შემცირდა, მათ შორის სურსათზე - 3,06 პროცენტით. სურ-სათის გაიაფების მიზეზს სტატისტიკოსები ვერ ასახელებენ. **ინტერ-პრესი**

-

თბილისი. აჭარის ავტონომია მოითხოვს დადგენილი კვოტების შესრულებას რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მიწოდებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით თბილ-ლისში ჩამოვიდა აჭარის ენერგოგამაწანობელთა კომპანიის ხელმძღვანელი გიორგი თავაძე, რომელმაც მინისტრ დიმიტრ ნიქრუცელავსთან მოლაპარაკებები გამართა.

შეხვედრისას მოიტყუდათ გათირვი თავაძეს აჭარის ენერგომომარაგების მხრივ მდგომარეობის გამოსწორება აღუთქვა. მისი თქმით, სიტუაცია სამშაბათი-დან შეიცვლება, როცა მისაღოდნელია თბილსრესის მე-8 ენერგოულკის ჩართვა. უნდა აღინიშნოს, რომ გასულ წლებში აჭარა ზამთრის პერიოდში ელექტროენერ-გიას თურქეთიდან იღებდა, დღე-ღამეში 59 მეგავატის მოცულობით, ზაფხულში კი ამ ვალის დაფარვა ხდებოდა საქართველოს ენერგოსისტემის მიერ გამოუმუშავეუ-ლი ელექტროენერგიიდან. **კავკას-პრესი**

-

თბილისი. სააქციო საზოგადოება „ქართულმა ჩაიმ“ ამ დღეებში აშშ-ში 262 ტო-ნა შავი ბაიბის ჩაი გაგზავნა.

ფინანსთა სამინისტრომ ჩაის ექსპორტის ხელშეწყობის პროგრამით თანხების გამოყოფა რამდენიმე კვირის წინათ დაიწყო, უსახსრობის გამო კი ჩაის წარმოება ფერხდებოდა.

„ქართულმა ჩაიმ“ ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში 200 ათასი ლარი მოიგო, ჯერჯერობით კი ამ თანხის ნახევარი მიიღო. დარჩენილი 100 ათასი ლარის გადაირცხვის შემთხვევაში ფირმა კიდევ 250 ტონა ჩაის ექსპორტს გეგმავს. **მედია-ნუსი**

-

თბილისი. ლიტვის რესპუბლიკის ელჩმა უკრაინასა და მოლდოვაში ვიქტორია ბაუზლისმა, რომელიც 5 დეკემბრს საქართველოს ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს ხელმძღვანელ პირებს შეხვდა, საქართველოს ნატო-ში განწევრიანების საკითხთან დაკავშირებით თანადგომა გამოხატა.

ბაუზლისის განცხადებით, ლიტვა საქართველოსთან თანამშრომლობას პრიო-რიტეტულად მიიჩნევს და მომავალში საქართველოში ლიტვის ოფიციალური წარ-მომადგენლობის - გენერალური საკონსულის გახსნაა დაგეგმილი, რასაც ეკონომი-კური ურთიერთობების მხრივ დიდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს.

ლიტვის ელჩმა, აგრეთვე, თხოვნით მიმართა სამინისტროს, რათა “სასაზღვრო ტრანსპორტის სფეროში თანამშრომლობის შესახებ” და “ქვეყნებს შორის ორმაგი დაბეგვრების და ინვესტიციების დაცვის შესახებ” პროექტების განხილვა და შესრუ-ლება დაიქარდეს. **ინტერ-პრესი**

-

თბილისი. წლის ბოლომდე სომხეთი მსოფლიო ბანკისგან 20 მლნ დოლარის ტრანშს მიიღებს. ამის შესახებ განაცხადა სომხეთის ფინანსებისა და ეკონომიკის მინისტრმა ვარდან ხაჩატრიანმა.

მისი თქმით, სომხეთმა შეასრულა თავისი ელექტროგამაწანობეული ქსელების პრივატიზაციის მსოფლიო ბანკის ყველა მოთხოვნა, რაც აუცილებელი იყო ამ ტრანშის მისაღებად. მიმისტრმა, ამასთან, აღნიშნა, რომ ტრანშის თანხა შეტანილი არ არის ქვეყნის 2003 წლის ბიუჯეტში, ის გასული საბიუჯეტო დავალიანების და-ფარვას მომხმარებს. **მედია-ნუსი**

-

თბილისი. ვარემოსა და ზუნებური რესურსების დაცვის მინისტრი ნინო ჩხობა-ძე ვერ ხედავს ინფექციურ დაავადებათა გავრცელების სამშორეობას იმ რეგიონებ-ში, სადაც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ძირითადი საექსპორტო ნავთობსადენი გაოფ-ლის.

როგორც საქართველოს აგრეკოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტმა, პროფესორმა თამაზ თურმანიძემ განაცხადა, ნავთობსადენის მშენებლობა სათანა-დო მონიტორინგის ჩატარების გარეშე დაუშვებელია, რადგან ციმპირის წყლის, ტუბერკულოზის, ბრუცელოზისა და ჯიღების ეპიდემიის აფეთქების რისკი ძალიან დიდია. ნინო ჩხობაძემ თქვა, რომ ამ საკითხს გაითვალისწინებენ და მშენებლობის დაწყებამდე სპეციალისტები სამარებეს შეისწავლიან.

მისი თქმით, ეს საკითხი ვარემოს დაცვის სამინისტროსა და კომპანია “ზრითიმ პეტროლიუმის” წარმომადგენლებმა, ჯერ კიდევ მიმდინარე წლის აგვისტოში განი-ხილეს, რის შედეგადაც პროექტის ხელმძღვანელობისაგან სრული უსაფრთხოების გარანტიები მიიღეს. **პრაიმ-ნუსი**

ლარის ოფიციალური ბაკვლითი კარსი ახა ფოლარის მითართ 2002 წლის 9 დეკემბრის დგომარაობით																																			
2.2000																																			
2.1900																																			
2.1800																																			
2.1700																																			
2.1600	2.1600	2.1700	2.1650	2.1650	2.1650																														
2.1500																																			
2.1400																																			
3.12.02	4.12.02	5.12.02	6.12.02	7.12.02	8.12.02																														
					9.12.02																														
<table><tr><td>მსოფლიოს</td><td></td><td>UK£</td><td>US\$</td><td>€uro</td><td>¥en</td></tr><tr><td>ბაზმვაანი</td><td></td><td></td><td>0.6342</td><td>0.6409</td><td>0.0051</td></tr><tr><td>ბაშტაბანს</td><td></td><td>1.5768</td><td></td><td>1.0097</td><td>0.0081</td></tr><tr><td></td><td></td><td>€uro</td><td>1.5624</td><td>0.9904</td><td></td></tr><tr><td>კრსოკარსაბი</td><td></td><td>¥en</td><td>194.76</td><td>123.55</td><td>124.75</td></tr></table>						მსოფლიოს		UK£	US\$	€uro	¥en	ბაზმვაანი			0.6342	0.6409	0.0051	ბაშტაბანს		1.5768		1.0097	0.0081			€uro	1.5624	0.9904		კრსოკარსაბი		¥en	194.76	123.55	124.75
მსოფლიოს		UK£	US\$	€uro	¥en																														
ბაზმვაანი			0.6342	0.6409	0.0051																														
ბაშტაბანს		1.5768		1.0097	0.0081																														
		€uro	1.5624	0.9904																															
კრსოკარსაბი		¥en	194.76	123.55	124.75																														

საქართველოს პოლიცია კრიმინალს განსაკუთრებული ხერხებით ებრძვის

პირველი გვერდიდან

ვიცე-პრეზიდენტის გატაცებული დედის ზუგდიდში ყოფნა იწინასწარმეტყველეს, პარასკევს – ხუთი, პანკისიდან გამოსული ბოვეიკის მხრიდან მძევლის აყვანა და საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა აღიკვეთა და თავად ბოროტმოქმედები, რომლებიც მოსკოვის ტერაქტების მოანალიგებიც ყოფილან, ლიკვიდირებულ იქნენ. შაბათს – თუკი თბილისში ვინმე არაქართველი კავკასიელი და აფრიკული რასის წარმომადგენელი იპოვეს, ასაკისა და სქესის განურჩევლად ყველა პოლიციამი მირეკეს და თითის ანაბეჭდები აუღეს – ეს ყველაფერი გართულებულ კრიმინოგენულ სიტუაციასთან ბრძოლის სახელით გაკეთდა. დღეს კი, კვლავაც კრშაბათის მონყენილობის ფაშს, პოლიციელთა მხრიდან გასულ კვირას მომხდარ კრიმინალთან ბრძოლის შედეგები ასე გამოიყურება: “ლუკოილისა” და “სლავენფტას” ვიცე-პრეზიდენტების მშობლები კვლავაც გამტაცებულთა ტყვეობაში არიან, ქუთაისის ავტოქარზნის ნაცემი დირექტორის გამოხსნაში კი პოლიციის ხელი რომ არ ურევია, ამას თავად იმერეთის სამართალდამცველი ორგანოებიც აღიარებენ.

რაც შეეხება იმას, თუ რა შეიძლება მოჰყვეს საპასპორტო და საეიზო რეჟიმის გამკაცრების სახელით შაბათს ჩატარებულ პოლიციურ ოპერაციას, რომლის ბადეშიც ძირითადად ჩეჩენი ეროვნების ადამიანები მოხდნენ, ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეიძლება.

ფაქტია, რომ საქართველოს ხელისუფლება კარგა ხანი ერიდებოდა ჩეჩნებთან ურთიერთობის დაძაბვას ერთადერთი არგუმენტით: არ მომხდარიყო რუსეთ-ჩეჩენეთის კონფლიქტში საქართველოს ჩართვის პროვოცირება. იმავე და მშვიდობიანი მოსახლეობის უსფეროთხოვის დაცვის არგუმენტები მოხდა პანკსიში მყოფი ჩეჩენი ბოვეიკების სტოპიდან უსმისლოდ გასვლის უზრუნველყოფაც. შაბათს კი, წარსული პრაქტიკისგან განსხვავებით, სამართალდამცველებმა ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ ჩეჩენი პატიმრების ექსტრადირების საშიშროების გამო იჩქერიის ხელისუფლებისგან არაერთი გამფრთხილებული მესიჯი წამოვიდა, მეტიც, წინა დღეებში რამდენიმე ჩეჩენი ლიდერისგან ზედმეტად გაისმა მუქარის შემცველი განცხადებები – საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ჩეჩენი მოქალაქეების მიმართ კე-



ელენე თევდორაძე

თილგანწყობილი დამოკიდებულების შეცვლის შემთხვევაში საქართველოში მოსალოდნელია არეულობების შეახება. პირიქით, თბილისში მცხოვრები ჩეჩნების პოლიციის განყოფილებებში მიყვანა სწორედ მასხადლის ინფორმაციის მინისტრის - მოვლადი უღუგოვის მიერ საქართველოს მისამართით გაკეთებულ გამაფრთხილებულ განცხადებას მოჰყვა.

“სამართალდამცველები ერთი წუთითაც არ დაფიქრებულან, რა შეიძლება მოჰყვეს ჩეჩნების მიმართ ასეთ დამოკიდებულებას, - ამბობს საქართველოს პარლამენტის წევრი ელენე თევდორაძე. - მე აბსოლუტურად გამოვირიცხავ იმ ვერსიას, რომ პოლიცია ვიღაც მასზე მაღლა მდგომის ინტერესებში მოქმედებს, როდღის საბოლოო

მიზანია საქართველოში არეულობების აგორება. ჩეჩენი ეროვნების ადამიანების პოლიციაში მიყვანა იმ ფორმით, როგორც შაბათს მოხდა, თანაც მას შემდეგ, რაც ჩეჩენებიდან მუქარის შემცველი განცხადებები ისმის, სხვა არაფერია, თუ არა კიდევ ერთხელ უპასუხისმგებლობის დემონსტრირება. გაისჩნეთ, პრეზიდენტმა გელაევს განათლებული ადამიანი რომ უწონდა. იგივე მოხდა შაბათს – შედეგებზე არავის უფიქრია და, შესაბამისად, საფრთხის წინაშე დადგა საქართველოს მოსახლეობის უშიშროება”.

ელენე თევდორაძის აზრით, პოლიციის არგუმენტი საპასპორტო და საეიზო რეჟიმის გამკაცრების შესახებ სრულიად საფუძვლიანი და გამართლებულია, ოღონდ:

“გამცილებელი” ფაბაკეროვი მიჰგვარებს და იგი, ავტომობილის დროებით გამოყენების მიზნით, გატაცებაში თანამშროხველადც გამოაცხადეს. როგორც მამუკა ნოზაძემ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, სოსო ფაბაკეროვის ახლობლებმა ადვოკატს ორდერი დაკავებისთანავე გაუფორმეს, მაგრამ პოლიციელებმა დამცველი ექვმიტანილთან არ მუშუშეს. “განყოფილებაში მეუბნებოდნენ, გამოძიებლის ნებართვის გარეშე პატიმართან ვერ შეგვიშვებო. არადა, გამოძიებებითი მთელი დღის განმავლობაში მემდებოდა. ხან იმიზეზებდა, გერში ვარ და საჩხერეში ვერ ჩამოვალო და ხანც ტელეფონს მითიშებდა. ვცადე რაიონის პროკურორსაც დავკავშირებოდი, მაგრამ ვერც ამ გზით მოვახერხე ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის ნახვა. პროკურორმაც იგივე მიზეზი დამისახელა – თბილისში ვარ, ჩავალ და ყველაფერს გავარკვევო, მაგრამ ორი დღის განმავლობაში პოლიციის შენობაში შეღწევა მაინც ვერ მოვახერხე. ჩემი ინფორმაციით, ფაბაკეროვი სასტიკად არის ნაცემი და სწორედ

“არ შეიძლება ნებისმიერი კარგი ნამონყება კანონგარეშე განახორციელო. კი, ბატონო, ის რაც თბილისში ხდება, აუცილებლად უნდა გამოსწორდეს და ამისკენ მიმართული მუშაობა პოლიციას ადრეც უნდა დაეწყო, მე თუ მკითხავთ, ახლა უკვე დაგვიანებულიც კია. მაგრამ ის, რაც პოლიციამ ჩეჩენი ეროვნების ადამიანების მიმართ გააკეთა, ამას არ შევია მუშაობა, ეს განუკუთხოვია. ორი აზრი არ არსებობს – უკანონობას ყოველთვის უკანონობა უპირისპირდება, მით უმეტეს, თუ უკანონობის წამომწყები ხელისუფლებაა. ხელისუფლება კი მიზანმიმართულად შეუხივრეთ ერთი კონკრეტული ეროვნების ადამიანებს და ამან შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები მოგვანოს”, - ამბობს პარლამენტარი.

სხვათა შორის, ისიც აღსანიშნავია, რომ ჩეჩნებზე პოლიციურ გალშქრებას წინ უსწრებდა საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომელიც ქვეყანაში გამწვავებული კრიმინოგენული ვითარების გამო საგანგებო ზომების გატარებას ითვალისწინებდა. მეტიც, პრეზიდენტის მიერ პარასკევს გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ მკაცრია იქნება გადაწყვეტილებები იმ უწყებების ხელმძღვანელების მიმართ, რომლებიც თავს ვერ ართმევენ დაკისრებულ მოვალეობას, ავლენენ უსუსურობას და არაპროფესიონალიზმს.

უღუგოვის განცხადების ფონზე პრეზიდენტის ბრძანებულების განხორციელება ქართველმა სამართალდამცველებმა სწორედ ჩენწური მიმართულებით წაიყვანეს.

“არ გამოვირიცხავ, რომ სამართალდამცველები პრეზიდენტის წინაშე თავის მოწონებას ზუსტად ჩეჩნების აღრიცხვით იმიტომ ცდილობენ, რომ იმავე პრეზიდენტმა ძალიან კარგად იცის, როგორ აფთავებენ პოლიციელები თბილისში მცხოვრები ჩეჩნების ჯიბებიდან ხელს. მარტო ჩემთვის ორი ისეთი ფაქტია დანამდვილებით ცნობილი, როცა ჩეჩნების ოჯახებს თბილისის ცენტრში ბინევი მოქმედნი პოლიციელები დაეხმარნენ და, ცხადია, არა უანგაროდ. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ პრეზიდენტის წინაშე თავის მოწონების გარდა, წმინდა მერკანტილურ მოსურნებებთან გქვონდეს საქმე, იხე, რომ ჩეჩნებს ამიერიდან თბილისში საკუთარი მშვიდი ცხოვრების უზრუნველყოფისთვის გარკვეული გადასახადი შეაწირონ”, - ამბობს ელენე თევდორაძე.

ამიტომ არ სურთ რომ შემახვედრონ, – გვითხროს ადვოკატმა.

ვიდრე მამუკა ნოზაძე მისთვის კანონით მინიჭებული მოვალეობის შესრულების გზებს ეძებდა, მოულოდნელად გამოძიებლისგან საჯარეოვნო საუბრისას შეიტყო, რომ ფაბაკეროვს, როგორც ავტომობილის გატაცებაში თანამონაწილს, ბრალი წარუდგინეს, ხოლო რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა საჩხერის პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ბრალდება და მას სამი თვით წინასწარი პატიმრობაც უმუვარდა.

ადვოკატი გუშინ გვიან ღამემდე ცდილობდა გამოძიებელთან ან პროკურორთან დაკავშირებას. ბოლო კი, ისე, რომ სასამართლო განწყვეტილების გაცნობაც ვერ მოახერხა – შეკრებილი მტკიცებულებების შესწავლაზე ხომ საუბარიც ზედმეტია –, ქუთაისის საოლქო სასამართლოში საჩხერის სასამართლოს გადწყვეტილება გაასაჩივრა.

სოსო ფაბაკეროვის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ჩვენც ვცადეთ, მაგრამ გამოძიებელთან და პოლიციის ზედამხედველ პროკურორთან დაკავშირება ვერც ჩვენ მოვახერხეთ.

ქურდობა მოინანია. ერთი სიტყვით, ვახტანგ სიღამონიძემ სასამართლოში თავი დამნაშავედ ცნო და დანაშაულიც აღიარა, თანაც, მისგან დაზარალებული ბიბლიოთეკისთვის ზარალის ანაზღაურებაზე მზადყოვნაც გამოთქვა. დანაშაულის ობიექტურ მიზეზად სამი მცირეწლოვანი შვილის მამამ ოჯახური ეკონომიკური სიდუხჭირე დაასახელა.

მართლმსაჯულებამ მაიაკოვსკის მოყვარული სამი შვილის მამა არ განიარა და ასეთი განჩინები გამოუტანა: “**მისჯავის სამი წლით პატიმრობა მკაცრი რეჟიმის სასჯელისთვის დაწესებულებაში მოხდით. სასჯელი არ აღსრულებას პირობით, თუ სიღამონიძე გამოსაცდელი ვადის – სამი წლის განმავლობაში ახალ დანაშაულს არ ჩაიდენს**”.

ამსტერდამის მუზეუმიდან ვან გოგის ნახატები მოიპარეს

ვან გოგის ამსტერდამის მუზეუმიდან კვირას გამთენიისას მოიპარეს მხატვრის ორი ცნობილი შედევრი. ნახატების ღირებულება რამდენიმე მილიონ დოლარს აჭარბებს.

ქურდები მუზეუმში შენობის სახურავიდან გადაძვრნენ. ამსტერდამის პოლიციამ აღმოაჩინა ფანჯრის გატეხილი მინა და 3-მეტრიანი კიბე.

გასული კვირის მანძილზე ნიდერლანდებში ორი დიდი ქურდობა მოხდა. გასულ ორსაბათს პაავაში მოწყობილ ძვირფასეულობის გამოფენიდან მოიპარეს მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული, ბრილიანტის სამკაულები. მოპარული ძვირფასეულობიდან რამდენიმე - ევროპის სამეფო ოჯახის წევრთა კუთვნილება იყო.

მოსკოვში ორი შეკვეთილი მკვლელობა მოხდა

შაბათს მოსკოვში დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ მოსკოველ პაველ ელენიანს. თავდამსხმელებმა პისტოლეტიდან თავში გასროლის შემდეგ ელენიანს დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენეს.

ელენიანის მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ, ვოლგოგრადის პროსპექტზე თავს დაესხნენ ალექსანდრა ჭბანკოვას. შემთხვევის ადგილზე მისულ მილიციას სახლის სადარბაზოში აღმოჩენილი ჭბანკოვა, რომელსაც თავში “აკს“-ის სისტემის პისტოლეტიდან გასროლით მიყენებული ჰქონდა რამდენიმე ჭრილობა, გარდაცვლილი დაუხვდათ.

მოსკოვის მილიცია აცხადებს, რომ ორივე მკვლელობა შეკვეთილია. მათივე ინფორმაციით, ელენიანცა და ჭბანკოვაც მოსკოვის სამარშრუტო ბიზნესის რამდენიმე ხაზს აკონტროლებდნენ. არსებული ვერსიით, მათი მკვლელობა კონკურენტებმა შეუკვეთეს. მოსკოვის მილიცია აღნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, მკვლელობის ორგანიზატორები სამარშრუტო ბიზნესის მაკონტროლებელი, კავკასიელთა კრიმინალური დაჯგუფების სახელით ცნობილი, ჯგუფის წევრები არიან.

ცნობილი ბიზნესმენის ბოდიგარდმა თავი მოიკლა

ცნობილი მოსკოველი ბიზნესმენის უმარ ჯაბრალოვის პირადმა დაცვამ, 36 წლის ვიქტორ ლისიციმნა თავი მოკლა.

თვითმკვლელობამდე რამდენიმე წუთით ადრე მან ბარათი დაწერა, შემდეგ ოფისის სადარბაზოში გავიდა და ტაბლური პისტოლეტიდან გულში ისროლა. ცნობილი ბიზნესმენისთვის ბოდიგარდის თვითმკვლელობა დიდი დანაკლისი აღმოჩნდა. მისი განცხადებით, ლისიკინი მისი უერთგულესი ადამიანი იყო. ჯაბრალოვისა და გარდაცვლილის ახლობლების განცხადებით, ლისიკინის თვითმკვლელობის მიზეზი მისი მოუწყობელი პირადი ცხოვრება გახდა.

ქნესეტის კომისიამ ისრაელის პორნობიზნესი მიიარდ დოლარად შეაფასა

ქნესეტის სპეციალურმა კომიტეტმა მოამზადა დასკვნა, რომელიც ისრაელში გავრცელებული პროსტიტუციის პრობლემას ეხება. დასკვნის ავტორები ირწმუნებიან, რომ ისრაელის ბორდელებში ყოველწლიურად 3 ათასზე მეტი ქალი ხვდება, საიდანაც “ცოცხალი საქონლით” მოვაჭრეებს ყოველწლიურად მილიარდი დოლარის შემოსავალი აქვთ.

კომისიის წევრები აყენებენ მოთხოვნას, რომ პორნობიზნესის, მონობის თანამდროვე ფორმის ინსთაღმდეგ ისრაელმა აქტიური ბრძოლა გამოაცხადოს და, პირველ რიგში, გაამკაცროს კანონმდებლობა. მით უმეტეს, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნით, ისრაელი ადამიანით მოვაჭრეთა შავ სიაში მოხვდა.

თავდასხმა ჩერნეთში

ჩერნეთის აღმინისტრაციის მეთაურის პირველ მოადგილეს უსმან მასაევს თავს დაესხნენ შეიარაღებული ბოვეიკები.

ჩერნეთის მილიციის სამმართველოს უფროსის ინფორმაციით, სამმა კამუფლიაიანმა ახალგაზრდა კაცმა მასაევისა და მისი პირადი დაცვის გამოძახების გზა გადაუუკეტეს და ავტომატისა და ხელის ტყვიამფრქველის ჯერი მიუშვეს. მასაევის პირადი დაცვის საპასუხო საშუალებები შედეგად დაიღუპა ორი თავდასმსხმელი. ერთმა კი მოასწრო გაქცევა. თავად უსმან მასაევი და მისი კორტეჟის წევრები არ დაზარალებულან. შემთხვევის ადგილდან ამოიღეს “კალშნიკოვის” სისტემის 2 ავტომატი, 2 ხელის ტყვიამფრქვევი და დიდი რაოდენობით სხვა საბრძოლო მასალა.

ვენაში ბავშვის გამტაცებული დააპატიმრეს

ვენის პოლიციამ დააკავა 19 წლის იურგენ ბრანდტო, რომელიც ბრალდებულია 12 წლის ბავშვის მკვლელობაში. ბრანდტომ ფულის გამოძახების მიზნით გაიტაცა ტომას კინგე და მის მშობლებს გამოსთვლიდს – 50 ათასი ევროს მოთხოვნის ბარათი ფაქსით გაუგზავნა. მას შემდეგ, რაც ბრანდტომ შეიტყო, რომ მძევლის მშობლებმა მომხდარის შესახებ ინფორმაცია პოლიციას შეატყობინეს, მან ბავშვი ჯერ ელექტროშოკით აწანა, შემდეგ კი, დანით 20 სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა.

კინგის მშობლებისთვის გადაზენილი ფაქსის ნომრით პოლიციამ გამტაცებლის ადგილსამყოფელი დააგვინა და დააპატიმრა კიდევ.

მოკულების ცხედარი, ჯერჯერობით, ვერ იპოვეს, რადგან მკვლეელი აცხადებს, რომ ტომასის გვამი მან ნავის კონტეინერში გადაადგო.

მოკლედ

თბილისი. სარწმუნო წყაროს ცნობით, ლავოდეთან სამართალდამცავებს და ყარაჩაელ ბოვეიკებს შორის არავითარი შეტაკება არ მომხდარა, მეტიც, ვარდაციელებს არც თავი მოუვლებიათ. ისინი ძალოვნებმა მანქანაში ჩაქსოვრლეს. საყარაძეო, დუისილებს - ელდარ მაგვშივილს და ალექსი ქვათარაშვილს სამი ყარაჩაელის საზღვარზე გადაყვანა უწოდეს, რაშიც ფული უნდა აეღოთ. ერთ-ერთი ევროსით, ყარაჩაელებს მანქანაში ფული ქონდათ, რომელიც ძალოვნებმა წაიღეს. **“შედიან-წიუსი”**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს სახალხო დამცველმა ნანა დედვარიანმა მიმართა პარლამენტს, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ სასამართლოს საწევრის გარეშე ორგანიზებული, თბილისში მცხოვრები ჩეჩენი დევნილების შემოშვების გამო, დააყენოს სამართალდამცავი ორგანოების პირველი პირების პასუხისმგებლობის საკითხი. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

თბილისი. ჩეჩენი ეროვნების პატიმრის აბდულჰამიდ ალიევის ექსტრადიციის შესახებ მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს მიერ გამოტყდელი გადაწყვეტილებას უზენაეს სასამართლოში დღეს გაასაჩივრებენ. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტის ყოფილი სპიკერი ზურაბ ჟვანია ვარაუდობს, რომ ანტიკრიმინალური ოპერაცია დიდი ხნით ადრე უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ არ შეიძლება და ბავშვებს დაკავება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ჩეჩნები არიან. “ყოველივე ეს, შესაძლოა, იქცეს სერიოზულ დეტოხაჟორად თავად საქართველოში დესტაბილიზაციისათვის,” - განაცხადა ჟვანიმ. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

თბილისი. გუშინწინ უცნობი დამნაშავეები 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის “კავკასიონი” ერთ-ერთი საყრდენი ბოძის გაქურდვას შეეცადნენ, კერძოდ, მათ სცადეს ფერადი ლითონის შემცველი ელქნიკის ნაღმა. შედეგად, საყრდენი ბოძი მწყობრიდან გამოივიდა და გუშინ მიიღინარე სარემონტო სამუშაოები შესახებ. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გენერალური პროკურატურა კატეგორიულად უარყოფს რუსი კოლმეხმარე მტკიცების სასამართლო სპეცსამსახურების მიერ დაკავებული ჩეჩენი ტერორისტის იუსუფ კრიმშამალაოვის ექსტრადიციის შესახებ. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს გენერალური პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე ხელმძღვანელობს ქართულ დელეგაციას, რომელიც ერთკვირიანი ვიზიტით გერმანიაში გაემგზავრა. ვიზიტის მიზანია გერმანიის სამართალდამცავი სისტემის გაცნობა და კონსულტაციების მიღება საქართველოს სამართალდამცავი სისტემის რეფორმების დაკავშირებით, რომლის კონცეფცია საქართველოს პრეზიდენტმა დადებითად შეაფასა. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

ჭუღაილი. გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილის ვა-ლერი ლომიას განცხადებით, ქართული დიფერსიული ჯგუფის წევრებმა სოფელ ანარიამი გაიტაცეს აფხაზეთის მოქალაქე ქართველი. **“ნეტერ-პრესი”**.
შვედლის სანაცვლოდ ქართველი პატიმრანები მოითხოვენ აფხაზეთის ციხეში ტერორის-ტული აქტების განხორციელების საბაბით მყოფი საქართველოს მოქალაქეების - ჯოლოვასა და მამასახლისის გათავისუფლებას. **“კავკას-პრესი”**.

■ ■ ■

ქუთაისი. ქუთაისელი ჰომოსექსუალისტების ადგილობრივი პოლიციელებს საკუთარი უფ-ლებების დარღვევით ადანაშაულებს. მათი თქმით, პოლიცია, სექსუალური ორიენტაციის გამო, მათ დამნაშავეთა სასამართლო თავდასხმებისგან არ იცავს. **“ნეტერ-პრესი”**.

თამარ კასიჩიძაძა

რამდენიმე დღის წინ 21 წლის სოსო ფაბაკეროვმა საჩხერეში სტუმრობა პოლიციის განყოფილებაში დაასრულა. როგორც მისი ადვოკატი მამუკა ნოზაძე ირწმუნება, საჩხერის რაიონის პოლიციამ ახლობლების დაქანით მიზავალი ფაბაკეროვი უმიზეზოდ დააკავა. როგორც მოგვიანებით დაკავშირებული ახლობლებმა გაარკვიეს, სამართალდამცველებმა საჩხერის სატყეოს უფროსის გატაცებულ “ვილისის” მარკის მანქანას მისდევდნენ. მაგრამ გამტაცებლებმა, როგორც ჩანს, მდევრები დროზე შეამჩნიეს, მანქანიდან გადახტნენ და მიიმალნენ კიდეც. მარ-

თალია, სამართალდამცველებმა “ვილისი” საჩხერეში წამოიყვანეს და პატრონსაც დაუბრუნეს, მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიციელებს განყოფილებაში დამნაშავეებით ხელდაშშვენებულებს სურდათ დაბრუნება და ამიტომ, იმ ავტომობილის მძღოლმაც დააკავეს,რომელიც შემთხვევით გატაცებული მანქანის უკან აღმოჩნდა. მამუკა ნოზაძის მტკიცებით, პოლიციამ შემომავა ვერსია –რადგან ფაბაკეროვი “ვილისის” უკან მიდიოდა, ე.ი. გამტაცებლებს აცილებდა და, აქედან გამომდინარე, დამნაშავეებთან არის შეკრებილი.

ერთი სიტყვით, საჩხერელმა პოლიციელებმა გამტაცებლები ვერა, მაგრამ განყოფილების უფროსს

დანაშაული და სამართალი

ქპირადღირებული წიგნების ქურდი სასჯალს გადაურჩა

ხათუნა ჭანჭირაშვილი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან წიგნების მოპარვისთვის, ვახტანგ სიღამონიძეს სასამართლომ კინალამ სამწლიანი პატიმრობა არგუნა, თანაც, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხადით. საქმე ისაა, რომ მაიაკოვსკის მოყვარულმა სიღამონიძემ, საკუთარი ინტელექტის გაღრმავება მიიწი-ღომა და წესისა და რიგის მიხედვით შეავსო ბიბლიოთეკის ბლანკები და მისთვის სასურველი წიგნები გამოიწერა. კრუჩენიშის “საუბრები მაიაკოვსკიზე”, და ლერმონტოვის სამი წიგნი – “მოთხრობა დეზერტირებზე”, “სიმღერა მშრომელებზე”, “ახალი ლექსები”, “მაიაკოვსკი დასკი-ნის” –უს სიღამონიძის მიერ გამოწე-

რილ წიგნთა ნუსხაა, რომლებიც, მოგვიანებით, მან საკუთარ დიპლომატში ჩაანყო და გაუჩინარდა. ჩამოთვლილი წიგნების დაკარგვით, პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ მთლიანობაში ნწმ ლართი იზარალა. სამაგიეროდ, სიღამონიძემ სასწრაფოდ მოძებნა მაიაკოვსკის მკითხველ-მყიდველები, წიგნები ქურდმა ნაქურდალი აღმაშენებლის გამზირზე მდებარე სათორების სახლში მიიტანა, სადაც უცნობმა მამაკაცმა და ქალმა მას წიგნებში 160 ლარი გადაუხადეს.

ბიბლიოთეკაში ჩაწერილი სიღამონიძის მოძებნა, მის მიერ გამოწერილი წიგნების გაუმჩინარების შემდეგ, სამართალდამცველებს არ გაეჭირვებიათ.

“ვახტანგ სიღამონიძეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ქურ-

ქალბატონი სოფიო ისევ თავის ერთ ოთახში ცხოვრობს და კარის მეზობლების ძველებურად ეშინია. სხვათა შორის, 10 დეკემბერი მისი უფლებების დაცვის დღეც არის.

ლადო ხარდულის სკეტი

ოქროს ბიზილო

მაგალითისთვის: ქართული შოუ-ბიზნესი



ქართული შოუ-ბიზნესი დაკარგული თევების შემდეგ ჩემი და ქიშოს მიერ შეთავაზებულმა ახალმა სცენარმა ახალგაზრდულ რედაქციაში ასე ნანატრი მონონება დაიმსახურა.

მუსიკალური პროექტის, “მეგაფონის” პირველი გადაცემა ირაკლი გიგაურის (ჯგუფი “პიჭები როკ-ნ-როლიდან” - გიტარა, ვოკალი) ხსოვნას მიუძღვნენით. გარდა ამისა, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა კონცერტი, სადაც გამოვედით იმდროინდელი ქართული თანამედროვე მუსიკის სხვადასხვა მიმართულების ავტორები: ქიშო გლუნჩაძე, დადა დადიანი, “კომენდანტის საათი”, “ვნება”, და ა.შ. ოლონდ ყველანი აკუსტიკური ინსტრუმენტებით, ჯგუფების გარეშე. კონცერტმა, როგორც ყოველთვის, გამოაცოცხლა იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდობის ნაწილი, იმ დროისთვის ახალი, დამოუკიდებელი ვიდეოსტუდიები და უამრავი ლამაზი გოგონა იმედის მომცემი, ანთებული თვალებით.

ეს იყო კონცერტი, სადაც მე დავარღვიე ქართულ ესტრადაში ყველა მანამდე არსებული დოგმა, ანუ არ ვიდევი ფეხზე და ვიჯექი სკამზე, რის შემდეგაც ქართველ შემსრულებლებს მიეცათ უფლება დამჯდარი აუდიტორიის წინაშე ფეხზე აღარ მდგარიყვნენ. საყურე, რომელიც იმ დროს ითვლებოდა... ბჭედები თითებზე, რომელიც იმ დროს ითვლებოდა... ტყავები ჩვეულებრივი ნაჭრის ნაცვლად, რომელიც იმ დროს ითვლებოდა... ბაკენბარდები და ის ვარცხნილობა, რომელსაც ეს საბრალო “გრუნზინი” პოპსავიკები დღეს ასე “გეზ კუკუნად” და რალაც გამოიურად ატარებენ... და რომლის უფლებაც, ერთ დროს ამხელა დანაპარგების ფასად, მოვუპოვე მათ ამ საზოგადოებათან ბრძოლაში; ხოლო ყველაზე მთავარი კი მაინც მუსიკა და ის აზროვნებაა, რომელმაც დაარღვია ყველა მანამდე არსებული ცენზი.

ზეიად გამსახურდიას მთავრობის მოსვლასთან და დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადებასთან ერთად რა თქმა უნდა, საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამაც რადიკალურად იცვალა სახე და ძველი კადრები შეცვალა ახალმა უფრო პატრიოტულად განწყობილმა და სხვა არანაირი მახასიათებლებით გაწსხვავებულმა, უცნაურმა ადამიანებმა, რომლებთანაც ჩვენს უსასრულო მოლაპარაკებებში, მე სულ “დეჟავუსავით” თან დამყვებოდა ის, ერთ დროს ნანახი და განცდილი სასაცილო და სულელური ფილმები, რომლებსაც ვერ წარმოვიდგენდი ვერასდროს თუ ეკრანის გარდა, კიდევ სადმე ვნახავდი და მით უმეტეს, რომელშიც მომინევდა ერთ-ერთი მთავარი როლის შესრულება.

ყველაზე არანორმალური და დაბოლილი სიგიჟე მაინც საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის ახალ მეფთან შეხედრა იყო. ხანგრძლივი მტკიცებების, დასაბუთებების და კამათის შემდეგ, მან მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ის ვაჰძლევდა ჩვენ ერთ ვადაგასულ, იაპონურ-საბჭოთა წარმოების BTK-ის კამერას, ხოლო ჩვენ დროის უმცირეს მონაკვეთში უნდა შეგვექმნა ისეთი კლიპები როგორიც... და გამომცდელო, გამჭოლავი მზერის შემდეგ, “რეზად” მოტრიალებულმა, დაუმიზნებლად, დისტანციური მართვით ჩართო ტელევიზორი, სადაც ცოტა მოგვიანებით აენთო, იმ დროს, ასე ყველასთვის საყვარელი არხი Super Canal. რის შემდეგაც მე და ქიშო დიდი ხანი პირდაპირულები ვიჯექით ტელევიზიის კიბეებზე კოთხეების და ლაპარაკის სურვილის გარეშე. ის გვთხოვდა ჩვენ სწორედ იმას, ანუ ჩვენ თურმე ერთი კამერით უნდა შეგვექმნა ის, რასაც დღემდე ასე უშუდგვოდ ცდილობს ჩვენი საბრალო სამშობლო და რის ვერშექმნასაც მოგვიანებით შეენირა, არა მარტო თვითონ ბატონი დირექტორი, არამედ მისის ბოსიც ბ-ნი ზეიადიც.

ამ მაგალითითაც ჩემთვის ნათელი გახდა ძველი ქართველი ბრძენი მამების უტყუარი და დროში დამტკიცებული სიბრძნე, მაგალითისთვის: “მოჩქარეს მოუგვიანდესო”, ან თუნდაც, “მიუწვეველს ნუ მიაჩვენე და მიჩვეულს კი ნუ გადააჩვენე” და ასე შემდეგ.

ბოლოს კი, მაინც ჩემი დაუზარელი და გაუთავებელი დაჟინებით, თუ უკვე ჩემით დაღლილებმა თავიდან მოშორების მიზნით დამინიშნეს ჩემი საკუთარი გადაცემის “ოქროს ბიბილოს” გადაღება. გადაღება ისევე უცნაურად წარიმართა, როგორც ქართულ ტელევიზიასთან მთელი ჩემი ურთიერთობა, მაგალითისთვის:

დილა იმ დღესაც ჩემთვის სულ სხანაირად გათენდა; ეს იყო დღე, რომელსაც ამდენი ხანი ველოდი. ის არ გავდა სხვა დღეებს და იყო რალაც უცნაური იმედი და რწმენა ერთისა, რომელსაც დღემდე ისე უშედგოდ მივსდეგ, როგორც “ვირი თივას”; რწმენა და იმედი იმის, რომ მე შევძლებ “ყველაფრის ამის შეცვლას უკეთესობისკენ”. მაგრამ... ჯერ განაცხადი ვერ ვიპოვე; ამას მოჰყვა ოპერატორი, მერე რეჟისორი, მერე კამერა, ხოლო ბოლოში რომ მთავარსარდლის ნჭი გამოვიჩინე და ყველაფერს თავი მოუყარე ან გამოვტოვე... აღმოჩნდა, რომ აკუმულიატორი დამჯდარია; დატენვასა და ცვლის დამთავრებას შორის დარჩენილ დროში, სწრაფად მოვასწარო ჩანერა და...

წინ შოკი მელოდა: თურმე, ოპერატორის მიერ დაყენებულმა კამერამ ჩანერა იმდენად პანკურად გააკეთა, რომ “დაეე” თვით სიდ ვიმეს გაუკვირდებოდა. ანუ დაყენებულმა კამერამ, რომელმაც დასაწყისში ჩემი არაფოკუსში ჩასმული გამოსახულება აღბეჭდა კადრზე, მონოტონურად ნელა, ნელა და მშვიდად ქვევით დაიწყო დამჯება, ხოლო დასასრულისთვის უკვე “კრუჰნი”, ანუ მსხვილი კადრით დაფიქსირებული იყო ჩემი ტყუუუუ... ჩემი ანერვიულებული და მჭევრმეტყველი ხმის ფონზე და სწორედ ამ დროს შეიქმნა ჩემი შედევრი სიმღერა - “მვარამ ჩვენ მაინც გადავლახავთ ბარიერს”.

ცხოვრება არ იყო ისეთი მკაცრი, როგორც ამას მე ხანდახან ვგრძნობდი; ის ყოველთვის მამლევდა ადგომის და გასწორების შანსს, რომ უფრო ძლიერ ნოკაუტში გავიყვნი. კეთილმოისურვნები კი მიჩრევენდნენ - თავი დაანებე ამათ, ხომ ხედავ გიჟები არიან, აი ეხლა იხსნება ახალი არხი, სახელად მეორე და დალაპარაკე მთავარ რეჟისორს, იქ შენისთანა ხალხი დასჭირდებათო.

ჩემი და გიორგი ეზრაიძის პირველი შეხვედრა ტელევიზიაში შედგა - იქ, სადაც დღეს ყავის “ბუტკა” დგას. მე მხოლოდ ასაკი გამიკვირდა მისი, რადგანაც ის არ შეესატყვისებოდა საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის სტანდარტებს.

საერთო ენა სულ მალე გამოვჩანეთ და უკვე კონკრეტული საქმიანობის დაწყების შესახებ დროც დავთქვიით. და იდგა 1991 წელი.

ელ-ფოსტა:ladoart@yahoo.com
http://lado.art.ge

„დეზიუტის„ დეზიუტი ქართველი მაყურებლისთვის

თამარ სახივილი

დღეს სტუდენტური სპექტაკლე-ბისა და ფილმების საერთაშორისო კონკურს-ფესტივალი “დებიუტი” იხსნება. ამ ტიპის – გაერთიანებული და თანაც საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში პირველად ტარდება. კონკურს-ფესტივალის დამფუძნებლები არიან: შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტი, სტუდენტთა და ასპირანტთა კავშირი და სარეჟისორო ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტები. ორგანიზატორებს (თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტური კავშირის წევრებს) ფესტივალის გამართვა ჯერ კიდევ გასულ წელს ჰქონდათ გადაწყვეტილი, მაგრამ რიგი მიზეზების გამო შარშან ამ ღონისძიების ორგანიზება ვერ მოხერხდა; ამიტომ წელს ფესტივალზე მაყურებელი ბოლო ორი წლის განმავლობაში შექმნილ ფილმებსა და სპექტაკლებს ნახავს. ზოგიერთი მონაწილე უკვე სტუდენტი აღარაა – კურსდამთავრებულთა ნამუშევრები კონკურსგარეშე იქნება ნაჩვენები. ფესტივალზე 10 სპექტაკლი და 50 ფილმი წარმოდგენილი, თეატრალური ინსტიტუტის სპექტაკლებთან ერთად კონკურსში მონაწილეობენ: ქუთაისის გრიგოლ ხანძთელის სახელობის ხელოვნების უნივერსიტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტი, საქტელერადიო ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი. კინოკონკურსზე ფილმებთან ერთად კლიპებსა და რეკლამებსაც იხილავთ. გრან-პრის პრეტენდენტნი, ჩვენი ზრით, ალექსანდრე ქორიძის დოკუმენტური სერიათი “აღლტრომის სინდრომი”, რომელიც ამასწინათ გადაცემა “ფსიქოში” იყო ნაჩვენები.



კონკურს-ფესტივალის პრიზები

ჟიური ორი ჯგუფისგან შედგება: თეატრალური და კინო-ჟიური. თითოეულ ჯგუფში ხუთ-ხუთი წევრია, ჟიურის თავმჯდომარეები კი ასპირანტები არიან (ასეთი იყო ორგანიზატორთა გადაწყვეტილება). ჟიურის შემადგენლობას დღეს, ფესტივალის გახსნაზე გამოაცხადებენ. ჟიურის წევრებს შორის იხილავთ მურმან ჯიწორიას, ნანა ჯანელიძეს, ზურაბ ბეგალიშვილსა და არჩილ შუბაშვილს...

საკონკურსო ნამუშევრები 10-ბა-ლიანი სისტემით შეფასდება, როგორც ჟიური ამბობს, “შეფასება მოხდება იმ კრიტერიუმის მიხდევით,

ცეცხლის ხელოვნება - ქერამიკა

“შეიძლება ულამაზესი ეს კიზი გააკეთო, მაგრამ თუ არ გამოიარა ცეცხლის ყველა პროცედურა, ისე აბსურდია კერამიკული ნაწარმის დამზადება. ცეცხლმა შეიძლება უამრავი მოულოდნელი ეფექტი მოგვცეს” – ალდე კაკაბაძე

თორნა ჭაფარიძე

გუშინ გალერეა “შარდენში” კერამიკა გამოიფინა. მიუხედავად იმი-სა, რომ ნამუშევართა ავტორები მხოლოდ ქალები არიან და ამ გამოფენით, ფაქტობრივად, დაიწყო გალერეა “შარდენის” გამოფენათა ციკლი “ხელოვანი ქალები”, მათ ერთობლივ ექსპოზიციას უფრო მნიშვნელოვანი რამ აერთიანებს: მასალა – თიხა, თაობა – 80-იანელები, რომელთაც ისინი მიეუფენებინან, და პედაგოგები – კერამიკოსთა სამყაროში ცნობილი, ალდე კაკაბაძისა და რეზო იაშვილის წყვილი.

“ალდე იყო ჩემი დიაბლომის ხელმძღვანელი, მაგრამ დღემდე ჩემს პედაგოგად რჩება,” - ამბობს კერამიკოსი მანანა არაბული.

“ტექნიკას კი დაეუფლები, მაგრამ იმას, რაც ალდესა და რეზოს სკოლაში ვისწავლეო, ვერცერთი სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავო,” - საუბრობს თავის პედაგოგზე კერამიკოსი ლალი ქუთათელაძე

და მაინც, რატომ უკავშირებენ ხელოვნებათმცოდნეები ამ წყვილის



ნინო ციციშვილი. “ექსპერიმენტი”

სახელს ქართული კერამიკის ისტორიაში ახალი ეტაპის დაწყებას? ფაქტები ასეთია: რეზო იაშვილმა აღმოაჩინა და აღადგინა ე.წ. “შავკრიალა კერამიკის” უძველესი ტექნოლოგია. პროფესორ ალდე კაკაბაძის უნიკალურ ტექნიკაზე, პლასტიკასა და მირის კერამიკა ამოჰყვა. კერამიკის შავმა, პრიალა ზედაპირის საიდუმლოებით მოცულმა ტექნოლოგიამ მეცნიერთა შორის იმთავითვე დიდი კამათი გამოიწვია. გამოითქვა ვარაუდები, რომ ჭურჭლის ზედაპირის ფაქტურა ლაქის გამოყენებით იყო

საუკეთესო რეჟისურა (200 ლარი)
საუკეთესო სცენოგრაფია (200 ლარი)
საუკეთესო მუსიკალური გაფორმება (300 ლარი)
საუკეთესო მსახიობი მამაკაცი (200 ლარი)
საუკეთესო მსახიობი ქალი (200 ლარი)

კინოხელოვნების დარგში
საუკეთესო ფილმი (გრან-პრი 500 ლარი)
საუკეთესო რეჟისურა (200 ლარი)
საუკეთესო ოპერატიული ნამუშევარი (200 ლარი)
საუკეთესო სცენარი (200 ლარი)
საუკეთესო მუსიკალური გაფორმება (200 ლარი)
საუკეთესო აქტიორული ნამუშევარი (200 ლარი)

კონკურს-ფესტივალის საინფორმაციო მხარდამჭერთა შორის არიან გაზეთი “24 საათი და “ტელეკომპანია “რუსთავი-2”. ფესტივალის საორგანიზაციო ხარჯები თეატრალური ინსტიტუტისა და სტუდკავშირის ბიუჯეტიდან დააფინანსა. საპრემიო ფონდი მთლიანად შემონირულობის ხარჯზე შეიგისო, გრან-პრი თეატრალური ხელოვნების დარგში გაზეთმა “24 საათმა” დააწესა.

“დებიუტის” პირველი სპექტაკლი – “იხეზზე ნადირობა” დღეს 4 საათზეა დანიშნული თეატრალურ ინსტიტუტში, ძველი “საარტაკის” შენობაში. კინოფესტივალი კი 14 დეკემბერს დაიწყება. მსურრელებს ფილმების ნახვა კინოთეატრ “ქოლგამი” შეუძლიათ. დაჯილდოება 18 დეკემბერს გაიმართება.

დღეს 2 საათზე თეატრალურ ინსტიტუტში პრესკონფერენციაა დანიშნული.

მიღებული. გაჩნდა ათასამდე ვერსია. რეზო დღე და ღამე ექსპერიმენტებს აკეთებდა სამხატვრო აკადემიაში, კერამიკის სახლისონში. მახსოვს, ერთ დილას, სახლში რომ დბარუნდა, ლურჯი ჯემპრი სულ ამომწვარი ჰქონდა. ხელში პატარა, პრიალა და შავი ირმის სკულპტურა ეჭირა. მან მაშინ დღეს უკვე ცნობილ ე.წ. “შებოღვის” ტექნიკას მიაგნო”.

გალერეა “შარდენში” მათი მონაფეების მიერ სწორედ “შებოღვის”, “აღდგენის”, “ჭიქურისა” თუ “ანგოტის” ტექნიკით შესრულებულ საინტერესო ნამუშევრებს იხილავთ. გამოფენა, რომელზეც ცხრა კერამიკოსი ქალის (მათ შორის, ალდე კაკაბაძის) ნამუშევრებია წარმოდგენილი, 20 დეკემბრამდე გაგრძელდება.

“ეს არის გამოფენა-აქცია, რომელიც ამტკიცებს, რომ მიუხედავად მძიმე პირობებისა, საქართველოში კერამიკოსები ისევ გეშუაობთ,” - მეუბნება გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე, კერამიკოსი მანანა არაბული და დასძენს: “გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა ნამუშევარი საქართველოში შემორჩენილ ერთადერთ კერამიკის ცენტრში –კავშირის შემოქმედებით უბანშია შექმნილი”.

P.S. ექსპოზიციის ცენტრში 80-იანელთა პედაგოგის, ქალბატონ ალდე კაკაბაძის “კედლის თევზია” მოთავსებული. თევზი 1969 წელს ლატვიაშია შექმნილი და ავტორის მიერ კერამიკაში მეტალის მაროლების გამოყენების პირველ ცდას წარმოადგენს.

ძალიან გულწრფელი მხატვრობა



ირაკლი ავალიშვილი

1982 წელს შესარულა რამდენიმე შეკვეთა (პორტრეტი, სამხატვრო კომბინატში). მისი ნახატები განთავსებულია შვეიცარიის, ამერიკის, პოლანდის და კანადის კერძო გალერეებში. ვიდრე საბოლოოდ გადაწყვეტდა აქტიური მხატვრის გზას, 1992 წელს დაიცვა დისერტაცია თეორიულ (მათემატიკურ) ბიოფიზიკაში ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, ხო-

ლო 1994 წელს მიწვეული იყო საერთაშორისო კონფერენციაზეც.

წარმატებული სამეცნიერო კარიერის მიუხედავად, ირაკლი ავალიშვილმა საბოლოოდ ხელოვანის გზა აირჩია. დღემდე მისი რამდენიმე ფერწერული ტილო ინახება კერძო კოლექციებში: ბაზელში, აშშ-ში, პოლანდისა და კანადაში. ირაკლი ავალიშვილის ნახატებს მალალ შეფასებას აძლევდა მისი ჯგუფელი და მე-

გობარი ირაკლი ფარჯიანი. განსხვავებული ხელწერისა თუ სტილის მიუხედავად, ავალიშვილი მიიჩნევს, რომ ფარჯიანმა მასზე ძალიან დიდი ზეგავლენა იქონია.

“ესაა ძალიან გულწრფელი მხატვრობა”, - თუკი ჩემნაირ დილტანტს ირაკლი ავალიშვილის ნამუშევრების დასახასიათებლად შესაბამისი ინტექტი თუ განათლება არ ეყოფა, უთუოდ დაეთანხმება დავით ანდრიასის ამ ფრაზას, რითაც მან ავალიშვილის შემოქმედება შეაფასა. თავად ავალიშვილი საკუთარ თავს მიიჩნევს რალც საშუალოთ, თვითნასწავლსა და პროფესიით მხატვრის შორის. მხატვარი უდაოდ აქვს რალც განსაზღვრებული. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ შარშან ვერც მოხდებოდა იმ ქართველ მხატვართა (ლევან ლალიძე, ირაკლი სუთიძე, მამუკა ცეცხლაძე, გია ბულაძე, თემურ მირზაშვილი) შორის, რომელთა მიხედვითაც ერთ-ერთმა ფრანგმა ექსპერტმა გადაწყვიტა მოეშაღებინა სტატია თანამედროვე ქართულ მხატვრობაზე.

ამჟამად ირაკლი ავალიშვილს სურს იმუშაოს სერიაზე “მსოფლიო განვითესლების გარეშე”. აღსანიშნავია, რომ ამ სახელოდებით პარიზში, გაზეთ “ივერიშიც” დაიბეჭდა მისი პუბლიკაცია.

ოზურგბითული ამარკორდი

ნოდარ მაღაჰონია

“მივალ გურიაში, მარა...” (გაგრძელება)

უკვე საღამოვდებოდა. ჩვენ სადღაც ორლობებში “ყელამდე ტალახში მივტოპავთ”.

ლადიკოს სიბრაზემ გაუარა და ახლა ისევ თავის სტიკაშია.

- ე, ეგერ, წყალგალმა რომ ნასახლარია, მამა...

უცბე სოფლის შარავზე კოხტად გამოწყობილი დედაბერი გამოჩნდა, იგი ენერგიული ხელის ქნევით გვანიშნებს, რომ გაჭერდე და წავიყვანო.



ფირალი

- მოიცა, მამიკო! - შეწყვიტა ამბავი ლადიკომ. - ახლა სულ მთლად თუ არ დაგვარგვია სინდისი, ეს დედაბერი არ მიატოვო ამ წვიმაში, თვარა დგ-ვნყველის იცოდე!

მე მანქანა გავაჩერე, უკან გადავინიე და ხელის აკვრით მანქანის კარი გავადე.

- მობრძანდით, ქალბატონო! - დამასწრო მოპატიჟება ლადიკომ. - დაბ-რძანდით!

- გაგზნათ ღმერთმა, ჩემო ბატონო! - თქვა დედაბერმა და თავსაკრავი შეისხნა.

ცოტა ხანს ასე ჩუმად ვიარეთ, მერე ლადიკოს ისევ მოაგონდა შუაზე მიტოვებული ამბავი.

- ჰო, იმას ვყვებოდი, მამაია, ე, ჩვენ რომ ახლა გამევიარეთ, წყალგალმა რომ ნასახლარი იყო... - ლადიკომ მუნდშტუკში სიგარეტი გაურჭო და გა-აგრძელა, - მაქნე, მამაია, ცხოვრობდა ჩავლეიშვილი. მეიცა, ახლა გავიხ-სენებ სახელს. ჰო, ონისიფორე ჩავლეიშვილი, ნიკოლოზას აფიცერი იყო, კაი ღამეაში კაცი, მამაია, მაგ ონისიფორეს ერთი გოგო შეუყვარდა... ჰო-და...

- რომელ ჩავლეიშვილზე ყვებით თქვენ, ნეტავ ვიცოდე, ჩემო ბატონო! - ჩაერია მოულოდნელად დედაბერი. - რომელზე, ქალბატონო, და ონისიფორე ჩავლეიშვილზე, - დამარცვლა სახელი და გვარი ლადიკომ. - ჩავლეიშვილი, ბატონო, ამ სოფელში მე არ გამიგონია ჯერ და... - თქვენ არ გეხსოვებათ, ქალბატონო... - ძალიან თავაზიანად თქვა ლა-დიკომ.

- რავა არ მემახსოვრება ნეტა, თქვენ გახსოვთ, ბატონო, და მე არ მე-მახსოვრება?! - გაიკვირვა დედაბერმა.

- რა მოხდა მერე, ქალბატონო, - ისევ დაუყვავა ლადიკომ და გააგრძე-ლა, - ის გოგო, მამაია, ღვდლის ქალშვილი იყო და ამ გოგოს თურმე... - ამ სოფელს, ბატონო, არც ღვდელი არ ყოლია მიდღემში, ერთი დიკა-ვანი ჰყავდა და ღვდელი ჩვენ მეორე სოფლიდან მოგვყავდა... - მეორე სოფლიდან მოგასხენებთ მეც, ქალბატონო...

- კი მარა, ის ღვდელი, ჩემო ბატონო, უშვილო რომ იყო, მაგაზე რას იტყვით, ნეტა ვიცოდე!

ლადიკომ პაუზა გააკეთა. მუნდშტუკი პირიდან გამოიღო და ოდნავ უკან შებრუნდა. ჯერ დედაბერს შეხედა, მერე ჩემკენ მობრუნდა და ხელით მანიშნა, “შეპრეკილი ხომ არაა ეს ვილაკია”.

- ჰოდა, ამ აფიცერმა, მამა, - ახლა უკვე სხვანაირ ხმაზე დაიწყო ლადი-კომ, - მოიტაცა აი გოგო, გოგომ ავი ოუკადრისა, ღამე გამეიპარა სახლი-დან, მივიდა ქასთან და ჩაჯარდა შით...

უკან დედაბერი აწრიალიდა.

- უიმე, თურმე რას ჰყვება აი კაცი! მაგი, ჩემო ბატონო, მასე კი არ გახ-ლავთ, ის გოგო ჯერემ ერთი...

- ქალბატონო! - აუწია ხმას ლადიკომ.

- მადროვეთ, ბატონო, მადროვეთ! - გაკაპასდა დედაბერი. - გოგოს ჭა-ში არ დაუხრწია თავი. იი ციცა, ნენა, - ახლა მე მომიბრუნდა დედაბერი, მან რაღაც რამდენიმე წუთში სხაპასხუბით დამაყარა ონისიფორეს ციცას მისეული ვერსია და მორჩა თუ არა ამბის მოყლას, ლადიკოს შეხედა.

- აა, გასაგებია, - თქვა ლადიკომ და უჩუმრად ხელი წამკრა. კარგა ხანს არც ერთს ხმა არ ამოუღია. უცებ ლადიკომ წამოძახა:

- ე, ხედავ იმას, მამა? - ხელი უზარმაზარი მუხისკენ გაიშვირა.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავუქნეი.

- ე, მაგ მუხაზე მიაკრეს, მამაია, თათრებმა მოპარული ბაღანე, აქ მაშინ უღრანი ტყე იყო თურმე...

- თათრებმა კი არა...

- ქალბატონო! - უკვე ძალიან ხმამაღლა თქვა ლადიკომ. - გვადროვეთ, ქალბატონო, თუ შეიძლება! ბჭოს, რავა სულთამხუთავივით მაფრინდებ-ბით პირომ...

დედაბერმა უცებ გაკმიდა ხმა და მოზუზულმა უკან გადინია.

- რა ვთქვი ნეტა ამისთანა. - ამოიპრუტუნა ცოტა ხნის მერე.

ლადიკო ჩუმად იჯდა და ბრაზიანი სახით სადღაც იყურებოდა.

- მუხა, ბატონო, თქვენ რომ ამბობთ, იი მუხა... - ისევ გარეკა დედაბერმა. ორლობები მორჩა. როგორც იქნა ასფალტიან გზაზე გავედით.

- გააჩერე, მამა, მანქანა! - უცებ თქვა ლადიკომ. - თქვენ საით მიბრძაძ-დებით, ქალბატონო? - მიუბრუნდა ლადიკო დედაბერს.

- ბე, ბატონო, აქეთ! - ხელი გაიშვირა დედაბერმა.

- ბოდიშო, ქალბატონო! ჩვენ აქეთ! - ხელი გაიშვირა ლადიკომ სანინა-ალმდგეო მიმართულებით.

მე სიცილს ძლივს ვიკავებ და ჩუმად გზივარი.

თითქოს მოილაპარაკესო, მოულოდნელთა გაიღო მანქანის ორთავე კა-რი, ჯერ დედაბერი გადახტა, მერე - ლადიკო. ახლა ერთი მანქანის მარცხე-ნა მხარეს დგას და მეორე - მარჯვენა მხარეს...

დედად ლადიკოს უხასიათობა შეატყო.

- რა იყო, ნენა, აწყენინე რაზე? - ჩუმით მკითხა დედამ.

ლადიკოს არ გამოუპარა დედაჩემის ნათქვამი.

- დაანებე ბაღანას თავი! - გაბრაზებით თქვა მამამ.

მე გამეცინა.

- გაგონილა ამისთანა რაზე, მარგალიტა? ვილაც დედაბერმა რომ ამიწე-პა პირი, ხმა არ ამომალდებოდა ჩემს შეილთან, კაცი! აი ვთქვი, იი თქვა, მე აი ვთქვი, იმან იი თქვა, მაი არაა მასთე, ბატონო, მაი არაა ისთე, ბატონო! - ახ-ლა გამოჯავრებით ამბობდა ლადიკო. - არ წამანკალა (წამამწარა) დღემან-დელი დღეი?!

ლადიკო მეორე დღესაც “კარალიოკთან” დამხვდა. როცა დამინახა, სი-ცილით მითხრა:

- დღეს, მამაია, აღარავინ ჩაისვა მანქანაში!

- არც შეენ?

- მე კი, რა გინდა, ცუდად ვიქცეოდი გუშინ თუ?!

ლადიკოს გვერდით ვისვამ და ჩვენ ისევ “გურიაში მივალთ”.

ირაკლი მახარაძე

ვეროპა, კინემატოგრაფის გაჩე-ნის პირველი დღეებიდანვე, პაპავდა ჰოლივუდს ყველაფერში, იქნებოდა ეს საშინელებათა ფილმები თუ კო-მედია. არ ასცდდა ეს ვესთერნსაც. სა-უკუნის დასაწყისშივე დაიწყო ვეს-თერნების გამოშვება ფრანგულმა ფირმა “გომონმა,” მას მიბაძეს გერ-მანულმა და იტალიურმა კინოსტუ-დებმა და ლამის 100 წელია ჭაპან-წყევტით ცდილობენ შექმნან ვეს-თერნის, რაც შეიძლება უფრო ზუს-ტი ასლი, რის უმედეგობასა და უსუ-სურობაში (უმთავრესად) ადვილად გვარწმუნებენ საბჭოთა ეკრანებზე გამოსული გერმანულ-იუგოსლავი-ური და რუმინული ვესთერნები გოი-კო მიტიჩებითა და ვინეტუებით. “ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუ-ტი გერმანული ვესთერნისა ეს არის ხანძარი-წერდა ინგლისელი კრიტი-კოსი რობინ ბინი 1965 წელს - მნიშე-ნელობა არა აქვს, თუ რა დანიშნუ-ლებას ასრულებს ის, მთავარია, ეკ-რანზე იყოს დიდი ცვეცლი... ვიმე-დოვნებ, რომ ეს ფილმები ამერიკაში არ მოხვდებიან, რადგან ვესთერნის თაყვანისცემელებს ნამდვილად წერვიულ შოკში ჩააგდებენ.”

სხვა სურათი დაიხატა იტალიაში, როცა მოყოლებული 1964 წლიდან ქვეყნის ეკრანებზე გამოჩნდა სერ-ჯიო ლეონეს (1924-1989) “სპაგეტო” ვესთერნები, ასე შეარქვეს მათ კრი-ტიკოსებმა (ეს ტერმინი პირველად ხმარებაში შემოიტანა იაპონელმა კრიტიკოსმა და ის ასე ჟღერდა - “მა-კარონი” ვესთერნი). ამ ფილმზე-ეტყობოდათ პროფესიონალის ხელი და რაც მთავარია, მათ მაშინათვე სერიოზული კონკურენცია გაუწიეს ამ ჟანრის ამერიკულ პროდუქციას.

სერჯიო ლეონემ ვესთერნების გადაღება საკმაოდ მოწიფულ ასაკში დაიწყო, თუმცა ის კინოში დიდი ხანი მოღვაწეობდა და 50-მდე იტალიური და ამერიკული ფილმის შექმნაში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. 1964 წლისთვის ლეონე მეორეხარის-ხოვან რეჟისორია ჯგუფს ეკუთვნო-და არასახარბიელო მომავლით. იმ პერიოდში იტალიურ ეკრანებს მი-ანხვდა ამერიკული ფილმები, რის გა-მიწე იტალიელები საფრთხეებში იყე-ნენ ჩაეარდნით, თუ რა დავპირის-პირებიანთ ჰოლივუდის ნაწარმი-სათვის. სწორედ მაშინ შესთავაზა ლეონემ რამდენიმე კინობიზნეს-მენს, მიემართათ ხრიკისათვის - გაე-კეთებინათ არა მარტო ვესთერნის ასლი, არამედ გაესაღებინათ ფილმი ამერიკულად! (არსებობს განსხვავე-ბული ვერსიებიც). იმავე წელს გა-მოჩნდა ვესთერნი “ერთი მუჭა დო-ლარები,” რომელიც დაფუძნებული იყო აკირა კუროსავას სამურაულ ფილმზე “მცველი” ტომორი მიფუნე-თი მთავარ როლში. ფილმის ტიტ-რებში არც ერთი იტალიური გვარი არ იყო, თვითონ რეჟისორი ჰობ რო-ბერტსონის ფტველდინით ქვეშ დაი-მალა, ფილმის კომპოზიტორი ენოი მორიკიუმი (მის ემოციონალურად დაჭირწული, გულშიჩამვლდომ მუსი-კას ფილმის წარმატება ბევრად უწ-და უმაღლოდეს) დენ სავიო გახდა, ხოლო ერთ-ერთი მთავარი როლის შემსრულებელი ჯან მარჩი ვოლონ-ტე ჯონ უელსის სახელით ეწერა.

ფილმმა გამოსვლისთანავე დიდი აღიარება მოიპოვა და ლეონემ მამი-ნათვე გადაინაცვლა იტალიური კი-ნოს ელიტაში. 1967 წელს ამერიკაში გამოჩენისთანავე სურათმა 13 მილი-ონი დოლარი მოიტანა. “ერთი მუჭა დოლარებს” მოჰყვა “რამოდენიმე დოლარით მეტი” (1965) და “კარგი, ცუდი, ავი” (1967), ამ ფილმებს დო-ლარების ტრილოგია შეარქვეს. ერთი ჟურნალი წერდა: “მოდით, ერთად ვიცინოთ ჰოლივუდზე და ვაჩვენოთ მას რომ ასეთი რამის კეთება, არა-ნაკლებ კარგად, ჩვენც შეგვიძლია!” ასეთი დიდი წარმატების შემდეგ ჯგუფის ყველა წევრი ტიტრებში თა-ვისი საკუთარი გვარით ჩაენერა.

მაინც რამ გამოიწვია ფილმის გარშემო ასეთი აჟიოტაჟი? თითქოს-და ახალი არაფერი არ მომხდარა. მოქმედება ხდებოდა ვესთერნისათ-ვის დამახასიათებელ პატარა ქალაქ-ში, მთავარი პერსონაჟებიც შესატყ-ვისად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი, მაგრამ ფილმიდან ფილმში ათასჯერ გამოიყრებულ ტრადიციულ გარემო-ში მყოფი გმირების მოქმედება სცდებოდა ვესთერნის დაკანონე-ბულ ჩარჩოებს. ლეონეს მიერ ნაჩეე-ნები “ველური” დასავლეთი არ იყო ის დასავლეთი, რომელზეც გაიზარ-და ამერიკელთა არა ერთი თაობა. ეს იყო მეტისმეტად ბოროტი, ამაზრზე-ნი და სასტიკი სამყარო თავისი გა-ბოლილი სალუნებით, ჭუჭყიანი ქუ-ჩებითა და არც თუ ისე სიმპატიური მაცხოვრებლებით. (სხვათაშორის, ჯან მარია ვოლონტეს ინდო, ტრი-ლოგიის მეორე ნაწილიდან, იყო პირ-ველი უარყოფითი გმირი კინოს ის-ტორიაში, რომელიც მარჩხუნას ეწეოდა). კლასიკური ვესთერნისა-გან განსხვავებით, სადაც მთავარი გმირი შეიძლება მრუდე გზით ნაეი-დეს, დანაშაულიც კი ჩაიდინოს, მაგ-რამ შემდეგ ყოველ ღონეს იხმარს, სიცოცხლესაც კი დასთმობს, რათა შეცდომა გამაიასწოროს და სახელი



სერჯიო ლეონე და მიქელანჯელო ანტონიონი კინის ფესტივალზე

არ გაიფუჭოს, ლეონეს გმირების შე-სახებე ამაზე ლაპარაკიც კი ზედმე-ტია. მათ ხშირად, (ზოგჯერ გაუგე-ბარ მიზეზთა გამო) განწყვეტილი აქვთ კავშირი საზოგადოებასთან და თუ ვინმესთან კონტაქტში შედიან, ისიც მხოლოდ ანგარებით და თავისი საქმის სასარგებლოდ. ლეონეს პერ-სონაჟები კი გმირისთვის დამახასია-თებელი ყველა თვისებებით (უშიშა-რი, ჩუბინი, ბრწყინვალე მოჯირითე და ა.შ.) არიან დაჯილდოებულინი, მაგრამ ამავე დროს მათ არანაირი პრინციპები და კეთილშობილური მოტივები არ მოძრავებთ. ლეონემ უგულბებლჰყო ვესთერნის ძირთა-დი კანონი, როცა მთავარი გმირი აუცილებლად სიმართლისათვის თავგამოდებული მეზრძოლია და ის აუცილებლად იმარჯვებს. მან თავი-სი გმირებისთვის ისეთივე კანონები შემოიტანა, როგორიც ჰქონდა შე-რიფ ბუთ მასთერსონს ახალდამწყები მსროლელისათვის: “...მთავარია არ არსებობს ამ ქვეყანაზე, ამიტომ ყოველთვის გქონდეს იარაღი მზად...” კლინთ ისთუდი, ტრილო-გიის მთავარი გმირის შემსრულებე-ლი, ერთ ინტერვიუში ამბობდა: “...ყველას კარგად მოეხსენება, რომ არავინ არ დგას ქუჩაში და ელოდება სანამ ბოროტმოქმედი მას ესერის. ან მე ან შენ, ასეა სინამდვილეში და ზუსტად ამაში ვერ ვეთანხმები ჯონ უეინის კონცეფციას. (ეკრანზე) მე ვაკეთებდი ყველაფერს, რასაც უეინი არასოდეს გააკეთებდა. შეიძ-ლება მე ოდნავ გაზვიადებულ პერ-სონაჟებს ვანსახიერებდი, მაგრამ მე მისროლია კაცისთვის ზურგი.”

კრიტიკოსებმა მაშინათვე გაილაშ-



კლინთ ისთუდი და ილაი უოლში ფილმში “კარგი, ცუდი, ავი”

სპაგატი ვესთერნი

ამერიკული “ცხენის ოშერა” 100 წლისაა

ქრეს ლეონეს წინააღმდეგ იმ საფუძ-ველზე,რომ თითქოს მისი ვესთერნები სიმართლეს არ შეესატყვისება, მაგ-რამ აღმოჩნდა რომ იტალიელმა სერ-ჯიო ლეონემ უფრო მეტი იცოდა “ვე-ლური” დასავლეთისა და კერძოდ, ვესთერნის შესახებ, ვიდრე ბევრმა მისმა ამერიკელმა კოლეგამ. “...რეა-ლური დასავლეთი-ამბობდა რეჟისო-რი-იყო ძალადობის, შოშისა და ველუ-რი ინსტიქტების სამყარო... და თუ ვინმე ცდილობდა ყოფილიყო კეთილ-შობლი, თუმცა მე არ მჯერა რომ ასე-თივე არსებობდნენ, იგი მაშინათვე სა-საფლავზე ამოჰყოფდა თავს, იქამდე სანამ რაიმე გმირულ საქციელს ჩაი-დენდა!...კანონი იმათ მხარეზე იდგა ვინც უფრო ძლიერი, უფრო სასტიკი და უფრო ცინიკური იყო.”

ძალზე მსხვილი კადრები, გრძე-ლი პლანები, ავის მომასწავებელი ლანდშაფტები და იმ დროისათვის მოულოდნელი ძალადობა ლეონეს სავიზიტო ბარათად იქცა და შემდ-გომში მეტწილად იმ წარმატებით ტი-რაჟურებულ იქნა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

მოგვიანებით, ერთი კრიტიკოსი აღნიშნავდა, რომ მისი ფილმები ეს არის ყველა აქამდე გაკეთებული ვესთერნის ანთოლოგია დამატებე-ბითა და შესწორებებით. მართლაც, ლეონემ თითქმის ყველა ცნობილი ამერიკული ვესთერნიდან ისესხა ეპიზოდი თუ მოტივი, თავისებურად გადაახარდა და სულ სხვა სახით მია-წოდა მაყურებელს. 60-იან წლების ბოლოს, მილანის კინოფესტივალზე ყოფნისას, ლეონე პირველად შეხვდა ვესთერნების გათქმულ რეჟისორს იად ბოთიქერს, როგორც კი ლეონემ იგი შენიშნა, ყვირილით მისკენ გაე-შურა: “ბად, ბად! მე შენგან ყველა-ფერი მოვიპარე!”

დოლარების ტრილოგიამ გამო-იწვია ნამდვილი ბუმი მთელს მსოფ-ლიოში. თუ 1964 წლამდე სულ 24 (სხვა მონაცემებით 28) ვესთერნი იყო გადაღებული იტალიაში, 1965-67 წლებში 66 გადაიღეს, ეს ვესთერ-ნები ნიჰილისტური და სისხლიანი იყო. თუ კუროსავას “მცველმა” და-საბამი დაუდო სისხლიან სცენებს სამურაულ ფილმებში, სერჯიო ლეო-ნეს ფილმებმა მოაშზადეს საფუძვე-ლი, რათა ამერიკულ კინოეკრანებზე გამეფებულიყო იქამდე ჯერ არნახუ-ლი სისხლისღერა და ძალადობა. მსა-ხიობი ჩარლიდონ ჰესთონი ამბობდა: “...ლეონეს ფილმები კარგია, მაგრამ არა გონია ქლინთ ისთუდისა და იმ ბიჭების გარეშე რაიმე კარგი გამო-სლუიყო” (იმ ბიჭებში კი იგულისხმე-ბა ლი ვან კლიფი, ილაი უოლასი, ჯან მარია ვოლონტე, ჰენრი ფონდა, ჯეი-სონ რობარდსი, ჩარლზ ბრონსონი, ვუდი სიროუდი და სხვები და ამაში არის ჭეშმარიტების მარცვალი).

1968 წელს ლეონემ შექმნა თავი-სი ალბათ, ყველაზე ცნობილი ვეს-თერნი “ერთხელ დასავლეთში.” მსა-ხიობი ჰენრი ფონდა ავტობიოგრა-ფიულ ნიგში “ჩემი ცხოვრება” წერ-და: “ფილმში “ერთხელ დასავლეთში” მე ვთამაშობდი ყველაზე უარყოფით გმირს, რომელიც კი გინახავთ ეკ-რანზე. სცენარი არ მომეწონა და უარი განვაცხადე. ...ერთხელ, ლან-ჩის დროს ჩემს მეგობრებს ვუთხარი, რომ ვილაც იტალიელს ჩემი გადაღე-ბა სურდა მეთქი.

- ვის? - შემაკითხნენ მეგობრები

- ვილაც სერჯიო.

- სერჯიო ლეონეს? - მე დაფუდას-ტურე და ისინი ლამის სკამებიდან გადმოვარდნენ ...აღმოჩნდა, რომ ქლინთ ისთუდისთვის მამამისის გარ-და, იმდენი არავის გაუკუთვია, რამ-დენიც სერჯიო ლეონეს. მე დავბრუნე იმ სახლი და დავურეკე ჩემს ძველ მე-გობარს ილაი უოლაჰს ...ყუთხარი, რომ სცენარი არ მომეწონა. -საერთოდ ნუ აქცევ ყურადღებას სცენარს - ენ-თუზიანზით მითხრა ილიმ - დათანხმ-დი. შენ სერჯიოზე გაციუფლდი. მაგარ დროს გაატარებ დამიჯერე!”

იმისათვის რომ ნაღდი უარყოფი-თი გმირი განესახიერებინა, ფონდამ წვერულვაში მოუშვა, ლურჯ თვა-ლებზე კი ყავისფერი ლინზები გაი-კეთა. “...როდესაც გადასალბე მოე-დანზე გავედი, სერჯიომ შემომხედა და დაიწყო იტალიურად სწრაფად ლაპარაკი თანაც ხელვაც აქეთ-იქეთ იქნევდა. პირველი ინგლისური სიტყ-ვა რაც გავიგე იყო - გაიპარსე! მერე კი მომივრე ეს ყავისფერი თვალები! სად არის ლურჯი თვალები? მე იმაში გადავიხადე ფული!”

სურათის დასაწყისში ლეონეს სურდა დოლარის ტრილოგიის ყვე-ლა გმირის მოკლა ჩარლზ ბრონსო-ნის ხელით, ილაი უოლასი და ლი ვან კლიფი დათანხმდნენ, მაგრამ ქლინთ ისთუდმა უარი განაცხადა და ამ სა-ინტერესო ჩანაფიქრს განხორციე-ლება არ ეწერა.

ფილმს ჰქონდა უზარმაზარი წარმატება მთელს მსოფლიოში, პა-რიზის ერთსა და იმავე კინოთეატრ-ში ის ოთხი წლის განმავლობაში გა-დიოდა, მაგრამ აშშ-ში ფილმი ჩავარ-და - ამერიკულმა აუდიტორიამ ვერ მიიღო ნაციონალური გმირი ჰენრი ფონდა მკვლელის როლში, რომელიც თვალის დაუხამხამებლად ჰკლავს ცხრა წლის ბიჭს. მხოლოდ რამოდე-ნიმე წლის შემდეგ იქცა ამერიკელი მაყურებლისათვის “ერთხელ დასავ-ლეთში” ნამდვილ საკულტო ფილ-მად. (ლეონე, როგორც პროდიუსე-რი, და ფონდა, კიდევ ერთხელ შეხვ-დნენ ერთმანეთს 1973 წელს ფილმში “ჩემი სახელია არავინ”).

ბაბუს ღუმელი

ანა კორძაია-სამადაშვილი

ჩვენი გმირი მერაბ ლორთქიფა-ნიძე, მეგობრებისთვის – ბებე, ხე-ლოვნებათმცოდნე, რომელიც თანა-ბარი წარმატებით გესაუბრებათ თა-ნამედროვე ხელოვნებისა და ჯაზის შესახებ, აგისნით, რა ნიშნით უნდა განასხვავოთ ერთმანეთისაგან კარ-გი და ცუდი თაფლი და სხვა და სხვა. ახლა კი ახალი თემა აქვს: ღუმელი.

ჩვენი ამბავი 90-იანი წლების ბო-ლოს დაიწყო, როდესაც ნუცუბიძის პლატოზე მცხოვრებმა ბებემ აღმოა-ჩინა, რომ უკვე მრავალი წელია, რაც ზამთარში ძალიან ცივა და ბინის გათბობა ჭირს. ნუცუბიძის პლატო-ზე, მოგეხსენებათ, განსაკუთრებით საძაგელი ქარი იცის და თუ კუთხის ბინაში ცხოვრობ, ნოემბრიდან აპრი-ლამდე აუცილებლად იყინები.

ცხადია, არსებობს “ტურბო”, რომელიც ხრჩოლავს და ყარს, არსე-ბობს ელექტროგამათბობელი, რო-მელიც მამასისხლი ჯდება და ისიც მხოლოდ მაშინ გარგავს, როცა დენს იძლევიან; შეიძლება მთელი დღე სამსახურში იჯდე (სადაც ასევე არ ცხელა) და მხოლოდ დასაძინებლად შეხვიდე გაყინულ სახლში. მაგრამ ბებესთვის მისაღები არცერთი ვა-რიანტი არ იყო; თუმცა, ასეთი ვითა-რება ალბათ არც არავის აკმაყოფი-ლებს. გამოსავალს ბებეს მეგობარ-მა, გოგა ხაინდრავამ მიაგნო: შეშის ღუმელი, ნაცადი, იაფი, საიმედო და ჯანმრთელი გათბობის საშუალება. გოგას ჩანაფიქრის თანახმად, ეს უნ-და ყოფილიყო ე.წ. “სვანური ფიჩი”, რომელსაც ზედ აგურები დაეწყო-ბოდა.

ბებეს შესახებ უნდა მოგახსე-ნოთ, რომ ესთეტიკა. სიცოცხე ალბათ უფრო იოლად გაუძლებდა, ვიდრე ოთახის კუთხეში წამოყუდებულ გა-უფებარ აგრეგატს. მაგრამ თავად იდეა – შეშის ღუმელი – მოეწონა და მისი რეალიზაცია გადაწყვიტა.

“სვანური ფიჩის” პრინციპით ხომ სხვა, საინტერესო ღუმელის გაკეთე-ბაც შეიძლება. პრინციპი კი იმაში მდგომარეობს, რომ სითბო ღუმელში უნდა დატრიალდეს და მხოლოდ მე-რე გავიდეს გარეთ. თან შედარებით სქელი თუნუქისგან უნდა იყოს გაკე-თებული, რომ ცეცხლის ჩაქრობის თანავე არ გაცივდეს და დილით სა-წოლიდან ადგომა დიდ გამოცდად არ ექცეს კაცს. ბებემ პრინციპის შენარ-ჩუნება და დიზაინის შეცვლა გა-დანყვიტა: ღუმელს საკიორს ფორმა უნდა ჰქონოდა და დალიანდგებუ-ლი ლითონის ფურცლებისგან უნდა ყოფილიყო აწყობილი – ასეთი ფურ-ცლები მატარებლებში გვიხანავს. ხელოსანი, “ჰერნიკი”, აღფრთოვან-და და ერთობლივი ბიზნესის ნა-მარჩეობა კი მესთავაზა დამკვეთს, მაგრამ არ დასცალდათ, ბებეს ღუმე-ლის ისტორია სულ სხვანაირად წა-რმოიბა.

თბილისის მცხოვრებლებს, რო-მელთაც 30 წლის ასაკს გადაბიჯავს, ალბათ ახსოვთ, რომ ცენტრალური გათბობის გაყვანამდე ქალაქის ცენ-ტრის ძველ სახლებში ღუმელები იდ-გა: ღირსეული, დაგრობილ თუჯის ფეხებზე შემდგარი, ქაშანაურის ან არასტანდარტული ზომის კაფების ფილებით მოპირკეთებული ღუმე-ლები. მათ არ ყიდულობდნენ, ხე-ლოსნები იქვე, ბინაში აშენებდნენ

იყო კაცი და კაცურად აღესრულა

ენიზოდები ლენტრო ლვანიძის ცხოვრებიდან

ტარიელ მუხლაძე

ბევრი ქართველი მოღვაწე, თა-ვის შემოქმედებასთან ერთად, და-ვინყების სკივრში გადაეშვა. ქვეყა-ნამ დაივიწყა თავისი პატრიოტი შეი-ლები, თუნდაც იმიტომ, რომ ისინი ბოლშევიზმის წინააღმდეგნი იყვნენ. კომუნისტური წყობილების რღვევის შემდეგ ქვეყანამ უბრალოდ ვეღარ მოიკალა დაკარგული ერისშვილე-ბის გამოსავლენად. არადა, წარსუ-ლის დავიწყება ერის სულით და ხორციით დამლას ნიშნავსო - ბრძა-ნედან ილია.

სწავლას მონყურებული ახალ-გაზრდები, განსაკუთრებით მეცხრა-მეტე საუკუნეში, საქართველოს ფარგლებს გარეთ მიდიოდნენ. ფი-ნანსური ხელმოკლეობის გამო, ბე-ერი სწავლას ვერ ასრულებდა და უკან ბრუნდებოდა. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა ძველი მენარბე და დიდი ქველმოქმედი ლენტრო ლვანი-ძე, რომელმაც პეტერბურგის უმაღ-ლესი სასწავლებელი დატოვა და სა-ქართველოში დაბრუნდა. მეცხრამე-ტე საუკუნის დასასრულს და მერო-ცეს გარიჟრაჟზე ლენტრო ლვანიძემ ცოლად შეირთო თბილისში მცხოვ-რები პოლინელი ქალი - დორიკა, რომელიც საკმაოდ შეძლებული ოჯახის შვილი იყო. ამ ოჯახის თა-ნადგომით ლენტრომა ხელი მიჰყო მენარმეობას. აზერბაიჯანში ბაშმა მოჰყავდა, აჭარაში კი თამბაქო, ჰქონდა ბაშისა და ხალჩიების სა-წარმო, თამბაქოს დასამუშავებელი საამქრო და სასტუმრო.

პეტერბურგის უმაღლეს სასწავ-ლებელში სწავლის პერიოდში ლენ-ტრომა კარგად შეისწავლა რუსულ-მა ფრანგული ენები. მანამდე კარ-გად ფლობდა აზერბაიჯანულ და სომხურ ენებს. დორიკას შერთვის შემდეგ დაეუფლა პოლონურ და თურქულ ენებს, იყო დიდად განათ-ლებულმა და ქველმოქმედი.

ბათუმში ყოფნის დროს ლენტრო



ლენტრო ლვანიძე მეგობრებთან ერთად

რი დაუახლოვდა მწერალ-პუბლი-ცისტსა და საზოგადო მოღვაწეს მე-მედ აბაშიძეს, რომლის თხოვნითაც ლენტრომა ფინანსური დახმარე-ბაუნია მეფის რუსეთის რეჟიმისად-მი შეუირიგებლად აჭარელთა “რეგო-ლუციურ ორგანიზაციას”.

საქართველოს მონინავე ინტე-ლიგენციამ გადაწყვიტა, რომ ქარტი-ველ ახალგაზრდებს სწავლა ადგილ-ზე მიეღოთ და არამარტო ქართველ ახალგაზრდებს. ამ მიზნით 1900 წელს, ვერაზე, სვიმონ კლიაშვილის პროექტით დაიწყო სათავადზანუ-რო გიმნაზიის მშენებლობა. მშენებ-ლობას თავკაცობდნენ ერის დიდი შვილები: ნიკო ცხევიძე, ილია ჭავ-ჭავაძე, დავით სარაჯიშვილი და სხვები. გიმნაზიის მშენებლობას მთელი საქართველო ეჭოდა. არადა, უფინანსობის გამო მშენებლობა რამდენიმეჯერ შეჩერდა. ამ დროს ლენტრო ლვანიძე უკვე შეძლებული მენარმე იყო. მან აპარეთხელ გაუ-წია ფინანსური დახმარება მშენებ-ლობას. ბოლოს და ბოლოს, 1906

არ დაიდგმებოდა, ამიტომ ლოჯი უნ-და მიეერთებინათ. ლოჯის იატაკი დუმელს არ შეეფერებოდა, ხელახლა გახდა დასაგები, მერე კი გაიკკვა, რომ პარკები ამოიწვევოდა და მარ-მარლოს დიდი ფლის დადება მოუ-წიათ. ცხადია, სჭირდებოდა საკუა-მური, შესაბამისად, კუთხის გათავი-სუფლება და სათანადოდ მოწყობა.

გარდა ამისა, ასეთი პატივსაცემი ნივთის შემომატება თავისთავად რე-მონტსაც გულისხმობდა, იმიტომ რომ – როგორც ზემოთ მოგახსენეთ – ბებე ლორთქიფანიძე გაუგებარ დიზაინს ვერ იტანს. ერთი ოთახის რემონტი კი აბა, ვის გაუგია? ასე გარემონტდა მთელი ბინა, სამზარეულო სასადილო ოთახად იქ-ცა, დაიდგა სარეცხი მანქანა, ფანჯ-რები ახალმა ფარდებმა დაამშვენა და ა.შ. ყველაფერი მზად იყო ღუმე-ლის მოსაბრძანებლად.

ძვირფასი და ძალიან მძიმე – თუ-ჯი და აგური! – საწუქარი დიდი ზარ-ზედით მოაბრძანეს, შიგ საგანგე-ბოდ გამოშრობლი შეშა შეაწყვეს და... ღუმელმა თავი მოიჭრა. აღმოჩნდა, რომ გარედან ძალიან ლამაზი და სარდაფის პირობებში საუკეთესოდ შენახული ღუმელი მიგნით სრული-ად უფარვისი იყო, აგური – დამტე-რული, თისა – ჩამოშლილი. ყოველი მხრიდან ბოლი გაუვიდა და სრული-ად გამჭვარტლა მის პატივსაცემად გარემონტებული ოთახი.

ბებე ლორთქიფანიძე თითქმის ერთი წელი ეძებდა მებუსრეს, რომე-ლიც მის ღუმელს რამეს გაუგებდა. ამ დროის განმავლობაში თვითონაც საუკეთესოდ შეისწავლა ღუმელის

კონსტრუქცია, კითხულობდა წიგ-ნებს და სტატიებს – ერთი კატალო-გი, რომელიც სავანგებოდ ჩამოუტა-ნეს, დაეკარგა და ამას დღემდე გუ-ლისტიკივლით იხსენებს. მაგრამ თე-ორიული ცოდნა არ კმაროდა, გაყი-ნული ღუმელი უფუნქციოდ იდგა და ალბათ მხოლოდ იმის გამო შემორჩა ოთახს, რომ მის არსებობას მეტისმე-ტად დიდი შრომა დასჭირდა და თან უდავოდ ლამაზია.

როგორც იქნა, ოსტატი გამოჩნ-და, რომელიც ძირითადად ბუნრებით იყო დაკავებული, მაგრამ თავის დროზე ღუმელებითაც დაინტერესე-ბულა და დიდძალი ლიტერატურის შესწავლისა და საკუთარი გამოგო-ნებების წყალობით ამჯერად ამ საქ-მის შეუდარებელი ოსტატია, ხელიო-ვანი უფრო ეთქმის, ვიდრე ხელოსა-ნი.

ჩვეულებრივი აგურით ნაგები და თიხით შეღესილი ღუმელი ნაკლე-ბად გამძლე ყოფილა, ადვილად ფუჭდება. ამიტომ ღუმელი დამალეს და ხელახლა ააწყვეს. ოსტატმა ასხ-ნა, რომ ძველი ფილები მხოლოდ სი-ლამაზისთვისაა და მტერის გადაწ-მენდას აადვილებს, სინამდვილეში კი სითბოს სულ არ აკავებს. ბებეს ქაშანაური საერთოდ არ მოსწონდა, ამიტომ იოლად შეელია და ღუმელი შამუთით მოაპირკეთეს – ეს მასალა შეუდარებლად უფრო დიდხანს ინარჩუნებს ტემპერატურას და, რაც ბებესთვის ფრიად მნიშვნელოვანია, ლამაზია და უჩვეულო სანახავი. მას-ზე რელიეფურად ჩანს თუჯის ჩარჩო და კარები, ღუმელის მთავარი მშვე-ნება.

რესტავრაციის შემდეგ ოსტატმა ამაყად განაცხადა, რომ ამ ნამუშევ-რის საგარანტიო ვადა 30 წელია, მე-რე შეიძლება ცოტა შეკეოება დას-ჭირდესო.

ალბათ დამეთანხმებით, რომ ნე-ბისმიერი საქმე, რომლითაც ადამია-ნი დიდი ხნის განმავლობაშია დაკა-ვებული, განსაკუთრებით იმ შემთხ-ვევაში, როცა წარმატებით გვირკ-ვინდება, საყვარელი ხდება, განურ-ჩევლად იმისა, საქმე ფერწერას ეხე-ბა თუ მეფუტკრეობას. ბებე ლორთ-ქიფანიძეს შეუყვარდა ღუმელი. მა-შინ, როცა სხვებს ცივიათ, მას სახლში სითბო იოლადება – დილით დანთე-ბული მაღლიერი ღუმელი საღამოს ნაკვერჩხალს ახვედრებს პატრონს, რომელსაც შეუძლია მასიურში გა-მონყობილმა უყურბო მინჯაულულ ცეცხლს. უსინათლობაც არ ანუხებს – სანთლები და ცეცხლი, რომანტიუ-ლი გარემო! თან მეზობელი სოფლე-ბის მცხოვრებლებს მობილური ტე-ლეფონები აქეთ და მეშის მოზიდვის პირობებაც არა დგას.

ხოლო, როდესაც ვერაზე ბებემ კიდევ ერთი მიტოვებული ღუმელი აღმოაჩინა, სასწრაფოდ გააჩვია მფლობელის ვინაობა – ახლომდელი აღმოჩნდა – და, ბევრი რომ არ გა-ვარძელო, აშქამდა ისიც მასთან დვას, არა იმიტომ, რომ ერთი სიცო-ცვის ვერ უშკლავდა, უბრალოდ ძა-ლიან ლამაზ და სასიამოვნო ნივთია და ნამდვილად აფსუსია, სადარბა-ზოში რომ ედგოს.

ზამთარში კი, როცა ნუცუბიძის პლატოზე ცივა, ქარი ქრის და ძაღ-ლები ყმოიან, ბებე ლორთქიფანი-ძესთან ორი ღუმელი ღულებს. გარწმუნებთ, შესანიშნავი რამაა.

სტორია (85) ყველაზე კაშკაშა დღესასწაული

თამარ ბაბუაძე

<i>ლიონელები ბოლო ოთხი დღის განმავლობაში დროის მსვლელობას ვერ ამჩნევდნენ. ამის მიზეზი 24 საათის განმავლობაში გაკაშკაშებული ქალაქი გახლდათ. ფერადი ილუმინაციების და მზიარული ღონისძიებების ფონზე ისინი დაძინებას ვერ ახერხებდნენ. თუმცა, ძილის გატყევის გამო არ წუწუნებდნენ: ყოველი წლის 5-8 დეკემბერს უზარმაზარი პროექტორების თანდასწრებით ცხოვრება, მათთვის ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება – სინათლის ფესტივალს ლიონში უკვე საუკუნეზე მეტია, აღწმნავენ.</i>
იქაურ სინათლის დღესასწაულს, რომელსაც “მოფერებით” ყველაზე ნა-თელ ფესტივალსაც უწოდებენ, რელიგიური ფესვები აქვს. პირველად ეს კაშ-კაშა ზემი ზუსტად 150 წლის წინ, 1852 წელს მოეწყო. მას შემდეგ, ლიონი ყო-ველ 5-8 დეკემბერს ტრადიციულად ნათდებოდა, მაგრამ ფესტივალი, წლიდან წალმდე, კარგავდა რელიგიურ აღტკინებას. ახალი საუკუნის დასაწყისში კი პირვანდელი სანყისისგან მთლიანად გათავისუფლდა. ბოლო ხანს, ლიონელები საკუთარ ცხოვრებაში სინათლის დიდი რაოდენობით შემეხებით, უბრალოდ, ერ-მანეთს ასხენებენ, რომ კვლავაც შეუძლიათ საყვარელი ადამიანებისთვის ბევრი სინათლე და სითბო გაიმეტონ; თან, რა თქმა უნდა, კაშკაშა ილუმინაცი-ებით ზამთრისთვის დომინანტ რუხ ფერსაც აფერადებენ.
5 დეკემბრიდან ლიონში უამრავი ელექტროენერგია იხარჯება. ქუჩებში

განთავსებული კაშკაშა ობიექტების გარდა, განათებულია თითოეული სახლის ფანჯარაც – ქალაქის მცხოვრებლები რაფებზე სხვადასხვა ფორმის ჩირაღდ-ნებს დგამენ და განათებული ქუჩებში გვიან ღამემდე მოსერნე თანხალექე-ლებს ამ გზითაც ართობენ.
თუმცა, ილუმინაციების ფესტივალი ყველაზე მეტად ქალაქის მერიისა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტის დახმარებით მოწყობილ გამოფე-ნებზე შეიგრძნობა. ამ პროექტს წელს “სინათლის მდინარეები” ერქვა. გაბათე-ბული ობიექტები უზნებად იყო დაყოფილი. თითოეული უბანის განათებაზე დი-ზაინერთა სხვადასხვა ჯგუფი ზრუნავდა.
“ზღვის” უბანში, პროექციის ტექნიკის საშუალებით, ნათდებოდა ფანჯრე-ბი, გზები, სკვერები, შენობები. უტყვი კედლები სინათლის საშუალებით მამინ-ბე ლაპარაკს იწყებდა. პროექტორი ნაცრისფერ არტიტექტურას ფერად სი-ნათლის წვიმებად აქცევდა. კედლებზე შუქის ფერები და ფორმები წამიერად ენაცვლებოდა ერთმანეთს და ფანტასტიკური შოუ გამოდიოდა. ლიონელებიც იდგნენ მე-18 საუკუნის თეატრის შენობის წინ და მის ფასადზე გამოსახული კადრებით ისტორიას იხსენებდნენ: პროექტორი კედლებზე ჯერ სინათლის ფე-რიერებს აწყობდა, შემდეგ კი საუკუნის წინ მომხდარი ხანძრის ამბავს მკვე-ბოდა; კედლებს ცეცხლის ალი კიდევ ერთხელ ნთქავდა – სანახაობა მართლაც დაუცინიყარი იყო...
მთავარ ქუჩებზე პაერში ეკიდა განათებული გეომეტრიული ფიგურები, ერთ ბულვარს კი მთელ სიგრძეზე გასდგდა მზის დისკოს მსგავსი, დაჭირვა-ლე კაშკაშა ბურთები და მთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს ქუჩაზე ათასი საე-სე მთავარე ეკიდა...
პარალელურად, ლიონელები სინათლის მდინარეებს კლასიკური მუსიკო-თაც ახმოვანებდნენ: მთლიანად ილუმინირებულ სცენაზე მუსიკოსები ჰშნდე-ლის კანტატებს ასრულებდნენ. გამკლავლებიც თან მუსიკითა და თან ფერადი შუქებით ტკბებოდნენ. იქვე პოეზიის მოყვარულები იკრიბებიდნენ – მათთვის შენობის ფასადები გადაშლილ წიგნებად გადაქციეს, ლექსები და სინათლის სხივები ერთმანეთს განწყობის მიხედვით ცვლიდა.
სპორტული ლიონელებისთვის ფერადი პროექტორებით განათებული ყი-ნულის მოედანი ფუნქციონირებდა და პერკუსიონისტთა 12-კაციანი ჯგუფი წამახალისებელ მფლობელს უტარავდა. სინათლის ეს ფერადი მდინარეები აე-ტოსადგომებზე, საახალწლო ნაძვის ხეების ბაზრობებსა და, ზოგადად, საეაჭ-რო ცენტრებშიც კი მოედინებოდა...
დღესასწაული გუმბო საღამოს დასრულდა და ლიონელებსაც დროის სვლის შეგრძნება კვლავ განუახლდათ. დღეიდან მათთვისაც ისეთივე ჩვეულებრივი და საქმიანი კვირა დაიწყო, როგორც საფრანგეთის სხვა დანარჩენ ქალაქებში.
P.S. ენერგეტიკული კრიზისის ფონზე ონგა მაზოხისტურია ილუმინა-ციებსა და ერთმანეთის გულების გათბობაზე დახარჯულ ელექტროენერგი-აზე წერა. განსაკუთრებით გუმბო, როდესაც თბილისი წამდაწუმ ბნელდე-ბოდა. თუმცა, შემდეგ თავი იმით დავიმშვიდეო, რომ იქნებ ოდესმე მართ-ლაც დადგეს დრო და ლიონის რამდენიმე ზაზიარება ჩვენი მოვხიბ-დეს. მოდით, ამ “ოდესმეს” ინფორმირებულები მაინც დაუხვდეთ.

მიხვალე კოვზოი გაყინულ ნიუ-იორკში

ასეთი ქარბუქი ნიუ-იორკს 1938 წლის შემდეგ არ ახსოვს: 5 დეკემბერს იმ-დენი თოვლი მოვიდა, რამდენიც შარშან მთელი ზამთრის განმავლობაში არ უნახავთ. ცენტრალური ბარკი თოვლის 15 სანტიმეტრის საფარით დაიფარა. დაიხურა სკოლები, მოხდა ავარიები, გადაიღო ფრენა, მოკლეს, ნიუ-იორკე-ლებს სწრეები დააწყდათ. მათი გამზიარულება ამ შიშველმა კოვზომ სცადა. რობერტ ბარკი სპეციალურად ტაიმს სკვერზე გამოსასვლელად გაიმოშვდა, თავისი მოხატული გიტარა დაიჭირა და გააღზიანებული გამწვლდებისთვის დაიწყო სიმღერა.

ძალიან ციოდა, ფიფქვებიც უხვად ცვიოდა, მაგრამ ბარკი მაინც მღეროდა. შესვენების დროს კი ირწმუნებოდა: “საერთოდ არ მცია, რადგან მინაგანად სურვილითა და სითბოთი ვარ საცხე”.

ბარკი ცინიცინატლი მომღერალაა, საკუთარ თავს “შიშველ კოვზოს” უწო-

დებს და ეამაყება, რომ პატენტს გახდოლ მფლობერობაში სიმღერის მხოლოდ თვითონ ფლობს. ის ტაიმს სკერს ჩვეულ ფორმაში პირველად 1999 წელს ევია. მას შემდეგ თითქმის მთელი ამერიკა მოიარა და ახლახან გერმანიასაც სტუმ-რობდა. ძალიან ზრუნავს ფერადი ფორმების შენარჩუნებისთვის, ცნობილი კულ-ტურისტია და თან სიმღერებს წერს. გარდა საკუთარი სიმღერების კომპაქტ-დისკებისა, საცვლებისა და გიტარის ბიზნესიც აქვს. ხომ იყიდება ცნობილ ადა-მიანებთან დაკავშირებული ნივთები – მაგალითად, შარი პოტერის ზურგანბთე-ბი, სპორტული ფეხსაცმელები... რობერტ ბარკი ჰყიდის ქვედა საცვალს, რო-მელსაც, როგორც ბარკიასა, წარწერს: “შიშველ კოვზოი” ამშვენებს.

ბარკი ბოლომდე იყენებს თავისუფლების სიმბოლოდ აღიარებული ქვეყნის

თავისუფლებას და აცხადებს, რომ ამერიკაში ადამიანებს საკუთარი რეალობის

შეცნნაც შეუძლიათ: “მაგალითად, მე ექსკლუზიურად საკუთარ რეალობაში

ცეცხვორებ”. ბარკსაც გაყინულ ტაიმს სკვერზე ასე თავისუფრად გაგებული

თავისუფლების გამო არ სცია – ალბათ, მის რეალობაში ჯერაც ზაფხულია.

ფეხბურთი

ბაფუქიხუღი ჰენალტაღის ტური

“მეტალურგი” ფოთში “დიხნჩრო”

მიხილ აზიოჰვილი

XXI ტური

დინამო – ბათუმი 2:0
ლოკომოტივი – მერანი 1:0
კოლხეთი – მეტალურგი 8:1
სიონი – ტორპედო 0:1
მილანი – დილა 0:3
გორდა – ვიტ ჯორჯია 2:3

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ეტაპის ბოლოს წინაა, 21-ე ტურით თბილისის “დინამოს” ოფიციალურად გაუფორმდა პირველი ეტაპის, გნებათ, “შემოდგომის ჩემპიონის” ტიტული. თუმცა, ამაში ეჭვი თვით “დინამოს” მთავარ კონკურენტებსაც არ ეპარებოდათ. დღეს ბათუმის “დინამო” იმ დონის გუნდი არ არის, თბილისელ თანაკლუბულს, თანაც მისსავე მოედანზე, მეტ-ნაკლებად ღირებული წინააღმდეგობა რომ გაუწიოს. არადა, სულ ახლო წარსულში თბილისისა და ბათუმის “დინამოების” შეხვედრა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო საქართველოს მასშტაბით. იყო ისეთი ექვსწლიანი პერიოდიც, რომლის დროსაც ეს გუნდები საქართველოს თაისი ფინალში ზუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. დღეს ამ ორ გუნდს ერთმანეთისგან კარდინალურად განსხვავებული მიზნები აქვს - თბილისელები სამი წლის წინ დაკარგული ჩემპიონობის დასაბრუნებლად საკმარ წარმატებით იბრძვიან, ზღვისპირელებს კი მთავარ ამრცხანად უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება აქვთ დასახული.



უტკეს თბილისის "დინამო"

თბილისის “დინამომ” თამაშის დებიუტშივე მოიპოვა უპირატესობა, რაც რატი ალექსიძემ გოლით დაასრულა. მიმდინარე ჩემპიონატში ეს ყოფილი ჩელსელის მეოთხე გოლია. რატი, მოგვსენებათ, პირველი ეტაპის მეორე წრიდან შეუერთდა შუმაკის გუნდს. ერთ დროს საქართველოს ნაკრების კარის დარაჯს, ნიკა

ტოგონიძეს თავისი კარის ბადიდან ბურთის კიდევ ერთხელ გამოტანა უკვე შეხვედრის მინურულს მოუხდა. ამჯერად თავი ალექო გოგობერიშვილმა გამოიჩინა. თუმცა, შუალედში ტოგონიძემ კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავისი ოსტატობა - მან ბურდულის მიერ თერთმეტმეტრიანიდან დარტყმული ბურთის მოგე-

რიება შეძლო. წელს ეს საქართველოს ნაკრების წევრის, ლადო ბურდულის მიერ გაცუდებული მესამე პენალტია. თამაში კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ მოედანს დაუბრუნდა დინამოელი ახალაია, რომელმაც უეფას თისზე ლიბერეცის “სლოვანთან” მატჩის შემდეგ (სწორედ ამ

საფეხბურთო კოალიცია

აესტრია-შვეიცარიის კავშირი დარწმუნებულია, რომ ევროპა 12 დეკემბერს დაიშლება

შვეიცარიელებმა აწონ-დაწონეს და გადაწყვიტეს, 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებს 2008 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატი ანაცვალონ. ისე კი, შვეიცარიელებს არც ერთის მასპინძლობის გარანტია არ აქვთ, ისევე როგორც სხვა კანდიდატ ქვეყნებს.

ბიზა ბარასაშვილი

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ შვეიცარიელებს 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშებისთვის ბერნის კანდიდატურის დასახელება სურდათ. როგორც წესი, ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ასტრონომიულ თანხებს მოითხოვს. ეს მაშინ, როდესაც რომელიმე ქალაქი კანდიდატობიდან მასპინძლის სტატუსს მიიღებს. ამ შემთხვევაში ფულადი მოგება გარანტირებულია. მოსამზადებელ პერიოდში კი, როდესაც სხვა კანდიდატი ქალაქებიც ასეულობით მილიონს ხარჯავენ, ზარალის ალბათობა იზრდება. ერთი კია, რომ ქვეყანას საბასსოვროდ ულტრა თანამედროვე ინფრასტრუქტურა რჩება.

ისევ ალპურ შვეიცარიას დაეუბრუნდეთ, რომელმაც ზამთრის ოლიმპიური თამაშებს სეტ მორიცში ორჯერ(1928 და 1948 წლებში) უმასპინძლა. მას შემდეგ, რაც შვეიცარიელებმა ბერნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს გადააუღეს თვალი, მიხედნენ, რომ განზრახვაზე ხელი უნდა აეღოთ, თუმცა არა ბოლომდე. ოლიმპიური ციხე-ცხელება საფეხბურთომ შეცვალა - კერძოდ, შვეიცარიელმა 2008 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილით მიიწამლნენ. სოლიდა სახალხო გამოკითხვით, ქვეყნის მოსახლეობის უდიდესმა ნაწილმა, დაახლოებით 80-მა პროცენტმა, ევრო-2008-ის მასპინძლობის უეფა-ში განაცხადს მხარი დაუჭირა.

თუმცა, ამ შემთხვევაში შვეიცარიელები მარტო არ არიან. მათ კოალიცია შეკრეს ავსტრიასთან, რაც უეფა-ში ერთობლივი განცხადებითაც დაადასტურეს. შვეიცარიელებს სჯერათ, რომ, ავსტრეიელებთან ერთობლიობით, მათ 2008 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის მასპინძლობისთვის უფრო განიმტკიცეს პოზიციები. ვის ზედება წილად ევრო-2008-ის მასპინძლობის პატივი, 12 დეკემბერს გაირკვევა - როდესაც უეფას აღმასკომი შვეიცარიამოვე, კერძოდ ნიონში მოაწყობს კენჭიყრას.

შეიძლება ითქვას, რომ ევრო-2008-ის საფეხბურთო ციხე-ცხელებაში, ძირითადად, კოალიციები მონაწილეობენ. მოტლანდია ირლანდიის რესპუბლიკასთანაა შეკრული, საბერძნეთი - თურქეთთან, რაც ერთგარი მოულოდნელობაცაა მათი ისტორიული დაპირისპირების ფონზე. ხორვატია ბოსნია და ჰერცეგოვინასთანაა შეამხანაგებული. გაცილებით შთამბეჭდავად გამოიყურება “ნორდიკ 2008”-დ წოდებული კავშირი, რომელშიც ერთაშაშდ ითხი ქვეყანაა გაერთიანებული – დანია, შვეცია, ნორვეგია და ფინეთი. ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობის სურვილი რუსეთის და უზგრეთსაც აქვთ, თუმცა, ზემოთ ჩამოთვლილთაგან განსხვავებით, ორივე ეს ქვეყანა დამოუკიდებლად მონაწილეობს. გეხსომებათ, 2004 წლის ევროპის საფეხბურთო ჩემპონატის მასპინძლობისთვის ადრე ავსტრია-უნგრეთის კავშირიც იბრ-



შტეფან შაუჰზა

ძოდა, მაგრამ მაშინ ეს პატივი პორტუგალიას ზედა.

ასეა თუ ისე, ევრო-2008-ის მასპინძლობაში ლამის ყველა კანდიდატს თანაბარი პერსპექტივა აქვს. მიუხედავად ამისა, შვეიცარიელებს მტკიცედ სწამთ, რომ უეფა-ში მათ კანდიდატურას მაიაჩქებზე უპირატესობა. სპორტული გამოცდილის “სპორტ ინფორმასიონის” აზრით, შესაძლოა, ავსტრი-შვეიცარიელი კანდიდატების წარმატებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს გულშემატკივართა უდიდესმა ენთუზიაზმ-

მა. გამოკითხვის თანახმად, 12 დეკემბერს შვეიცარია-ავსტრიის განცხადის წარმატების შემთხვევაში არსებობს დიდი ალბათობა, რომ მატჩებზე დასასწრები ბილეთები ასი პროცენტით გაიყიდება. შვეიცარიელთა 56 პროცენტს განზრახული აქვს, სულ ცოტა, ერთ თამაშ მაინც დაესწროს. ამასთან, გამოკითხულთა უმეტესობას - კერძოდ, შვეიცარიელთა 89 და ავსტრიელითა 82 პროცენტს, ევრო-2008-ის მატჩებზე უფიქრობთბის ნორმების გარანტირებულობის იმედიც აქვს.

კალათბურთი

"დინამო" ლიდეროზს, "ზასკო" კი დამარცხდა

საქართველოს ჩემპიონატი. შაბათი

ბასკო - სტუ ჯეოსელია 84:90, სსუ - აზოტი 53:76, მაკაბი - აკადემია 94:111, დინამო - თსუ-ს მატჩი დღეს გამართება.

კვირა
აზოტი - დინამო 72:76, სსუ - აკადემია 87:83, მაკაბი - თსუ 94:108.

გასულ უქმეებზე საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატის მეორე წრის მესამე ტურის მატჩები გაიმართა. მოუღწეები საინტერესოდ განვითარდა ბათუმის “ბასკოსა” და “სტუ ჯეოსელის” შეხვედრისას. მიუხედა-

ვად იმისა, რომ ზღვისპირელებს მონდომება არ აკლდათ, გერაფერი მოუხერხეს თბილისელ სტუდენტებს და მიმდინარე სეზონში მესამე დამარცხება იცემეს. სხვა განსაკუთრებული მოვლენა შაბათის შეხვედრებში არ მომხდარა, თუ არ ჩავთვლით საკალათბურთო “აკადემიის” გუნდის გამარჯვებას “მაკაბისთან” დაპირისპირებისას. “დინამოსა” და თსუ-ს შორის შაბათის დღის ცენტრალური მატჩი გადაიღო და დღეს გაიმართება.

კვირას უაღრესად საინტერესო და დაძაბული გამოდგა შეხვედრა რუსთავეში, სადაც “აზოტმა” გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს, თბი-

ლისის “დინამოს” უმასპინძლა. რუსთაველებმა თამაში მეტისმეტად ენერგიულად დაიწყეს და ერთხანს ჩემპიონატის ლიდერს ტოლს უდებდნენ, მაგრამ დინამოელთა მობოლურმა თამაშმა მასპინძლებს ანგარიშში მევეთრი უპირატესობის მოპოვების საშუალება არ მისცა. პირქით, “დინამო”, დაძაბულობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, მდგომარეობას აკონტროლებდა და თამაშის სადგენები ხელიდან ერთხელაც არ გაუშვია. წარმატებულად ითამაშა თბილისელთა ლეგიონერმა სიროჟინამ, რომელიც ყველაზე შედეგიანი და ერთი-ერთი საუკეთესო იყო თავისი გუნ-

დის შემადგენლობაში. მის ანგარიშზე 17 ქულაა. საბოლოოდ, “დინამომ” ოთხი ქულის სხვაობით დაამარცხა მეტოქე და ერთპიროვნულად ლიდერობს წლევიანდელ გათამაშებას.

დაძაბული გამოდგა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საკალათბურთო “აკადემიის” გუნდების დაპირისპირება, რომელიც სოხუმელთა გამარჯვებით - 87:83 დამთავრდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა კი საკმაოდ შთამბეჭდავით “მაკაბი”. დღეს თბილისიურ დერბოში “დინამო” თსუ-ს შეხვდება.

გებს კრიტიკის ქარცეცხლი დაატეხა, რადგან ისინი ჰვასკის უჭერდნენ მხარს. ლუისის განცხადებით, ის იბრძვის არა ფულისთვის, არამედ - პირიქიბის გამო. “მე ცდილობ, ყველა სპორტსმენს, განსაკუთრებით კი მოკრიეებს, დავანახო, თუ როგორ უნდა იბრძოლონ თავიანთი უფლებების დასაცავად,” - შენიშნა ლუისმა.

შეხვედრაში ვერ გამოიყენა პენალტი ბურდულმა) მენისკის ოპერაცია გაიკეთა. საბოლოოდ, ლიდერმა 2:0 გაიმარჯვა, თანაც - განსაკუთრებული დაძაბვის გარეშე, 53 ქულა დააგროვა და პირველ ეტაპზე მეტოქეთათვის მიუწვდომელი გახდა.

თბილისის “დინამოს” მსგავსად, ჩემპიონობისთვის მებრძოლმა სამივე გუნდმა წარმატებით იასპარეზა. ტურის ცენტრალური შეხვედრისას, რომელშიც “სიონი” ქუთაისის “ტორპედოს” მასპინძლობდა, საკმაოდ უშეღვათო ბრძოლა გაიმართა. არაერთხელ აღგვიწმინავეს, რომ თემურ მახარაძის მიერ შექმნილი საკმაოდ სიმპათიური გუნდის წინააღმდეგ თამაში ყველას უჭირს. ამჯერადაც გამარჯვების მოსაპოვებლად ჩემპიონს დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა. მატჩის პირველი ტაიმის უგოლოდ, ფრედ დასრულების შემდეგ ქუთათურებმა ანგარიში გახსნეს (გოლი მაღაზა ასათიანის ანგარიშზეა). მასპინძლებს კი ბოლო წუთზე ქულის გადარჩენის ბრწყინვალე შანსი მიეცათ - თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმის სახით, მაგრამ ვერ გამოიყენეს.

თბილისის “ლოკომოტივმა” პერუელის გოლით გაიმარჯვა. ცაკარიასის გუნდმა ვაბელობა “მერანს” უმასპინძლა და შეცვლაზე შემოსული გონსალესის მიერ 77-ე წუთზე გატანილი გოლით დაამარცხა მეტოქე. პერუელს ასისტირება ბალუმკილმა გაუწია. რაც შეეხება “ვიტ ჯორჯიას”, რომელიც რუსთავს სტუმრობდა, ვეტერნარებმა კინალამ ხელიდან გაუშვეს გამარჯვება. კარნევალის გუნდმა პირველ ტაიმიში

მოკლედ

ფეხბურთი. ალან შირერს 2000 წლის შემოდგომიდან ინგლისის ნაკრების მაისური აღარ მოურგია, არადა იგი ერთ დროს ქვეყნის უპირველესი გუნდის კაპიტანი იყო. ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, სვენ გორან ერიკსონის თანაშემწემ, ტოდტ გრამმა განაცხადა, რომ შეეცდება, პრემიერლიგის საუკეთესო სწაიპერი ეროვნულ ნაკრებში დააბრუნოს.

”შესაძლოა, ჩვენ თავიდან შევეცადოთ შირერის გუნდში დაბრუნებას. ალან დიდი ფეხბურთელია და ფანტასტიკური გოლები გააქვს. რატომაც არ უნდა გააკეთოს იგივე ეროვნულ ნაკრებში? თუმცა, ყველაფერი მაინც შირერის განაწყვეტულებაზე იქნება დამოკიდებული”, - თქვა მან. შეგახსენებთ, რომ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე უფრეული გამოსვლის შემდეგ შირერმა ნაკრებში თამაშზე უარი განაცხადა.

ფეხბურთი. “მანჩესტერ იუნაიტედისა” და სამხრეთ აფრიკის ნაკრების ფეხბურთელი, კვენტონ ფორჩუნი ფეხბურთს სამი თვით დაემშვიდობა. ამის შესახებ ინფორმაცია “მანკუნიანელთა” პრესმდივანმა გაავრცელა. “ლივერპულთან”მატჩის დროს, შეხვედრის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ფორჩუნმა ფეხი დაიხიანა. რენტგენული შემოწმების მიხედვით, ფორჩუნს მოტეხილობა აღმოაჩნდა. 25 წლის ფორვარდი “მანჩესტერ იუნაიტედში” 1999 წელს გადავიდა მადრიდის “ატლეტიკოდან” - 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგის საფასურად.

ფეხბურთი. “მილანის” მთავარმა მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ “რომას” დამარცხების შემდეგ აღიარა, რომ რომაელებმა მის გუნდს ზვეერ პრბოლმა შეუქმნეს. “ჩვენ პირველი ტაიმი უკეთ ჩავატარეთ, მეორე კი უფრო რომაელების იყო. “რომას” გოლის გატანა თავისუფლად შეძლო. მარტო ბატისტუტას მიერ შექმნილი მომენტი რად ღირს. რაც შეეხება სადავო გოლს, დარწმუნებული არ ვარ, რომ ინძაგიმ ხელით ითამაშა. ერთადერთი, რაშიც ნამდვილად დარწმუნებული ვარ, ის არის, რომ ინძაგისთან ერთად ჩვენი გუნდი თავდასხმებში გაქტილბით ეფექტურად გამოიყურება,” - განაცხადა ანჩელოტიმ. მისმა კოლეგამ, ფაბიო კაპელომ კი კომენტარებისგან ერთი შეიკავა. “რომამ” ჟურნალისტებთან ურთიერთობა განაყვება.

ფეხბურთი. ესპანელი ხოსე გვარდიოლა უკვე იანვარში დატოვებს რომს. გვარდიოლა გუნდში თავისი მდგომარეობით ძალიან უკმაყოფილოა. “ბრეშა-დან” გადასვლის შემდეგ ესპანელმა “რომას” ძირითად მქმადგენლობაში თითზე ჩამოსათვლელი მატჩები ჩაატარა. გვარდიოლაზე პრეტენზიას - “ბრეშა”, “კიევი” და “პარი სენ-ფერმენი” აცხადებენ.

ფეხბურთი. რომის “ლაციომ” დანაკარგი განიცადა. ბარძაყის ტრავმის გამო მწყორიდან გამოვიდა კლუბის უფროსთაველი მცველი - სინიზა მიხაილოვიჩი. ფეხბურთელი, დაახლოებით, ოთხი-ექვსი კვირის განმავლობაში ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ იქნება. მიხაილოვიჩმა ტრავმა ვარჯიშზე მიიღო.

კალათბურთი. როგორც ირკვევა, “პორტლენდ ტრიელ ბლეიზერს” უაღრესად ემოციური ფანები გულშემატკივრობენ. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ტემი ფოშერი საავადმყოფოში გააქანეს. “პორტლენდისა” და “მაიანის” შეხვედრისას თამაშში ჩართული ქალბატონი მეორე იარუსიდან გადავარდა და, დაახლოებით, 13 მეტრი იფრინა. მან სხეულის უმძიმესი დაზიანებები მიიღო. ამჟამად ტემი ფოშერი საღ გონებაზეა, მაგრამ ექიმები მის მდგომარეობას კრიტიკულს უწოდებენ.

კალათბურთი. “სან-ანტონიოს” ცნობილმა არგენტინელმა კალათბურთელმა, ემანუელ ჟირობოიმ ფეხის ტრავმა მიიღო. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა ვადით გამოეთიშა იგი “სან-ანტონიოს” რიგებს. ეინობლი ამ სეზონზე ერთ თამაშში, საშუალოდ, 5,6 ქულას, 1,9 მოხსნას და 1,4 გადაცემას ახორციელებდა.

კიდე. ვლადიმირ კლიჩკომ ლს-ეგვასში ამერიკელი ჯამილ მაკლანიიც გალაბა და 41 შეხვედრაში თავისი მე-40 გამარჯვება იხიმა. აქედან 37 ნოკაუტით. მაკლანითან ორთაბრძოლა მე-10 რაუნდში დამთავრების შემდეგ დასრულდა. ამერიკელი მოკრივის სკელუნანტებმა მე-11 რაუნდში მოკრივე რინგზე აღარ გაუშვეს. “ბრძოლა დაძაბული, მაგრამ უბრალოდ იყო,” - ასე შეაფასა მატჩი კლიჩკო-უშეროსმა, - ვფიქრობ,მე-11 რაუნდში მაკლანი რინგზე რომ გამოჩენილიყო, მან ნოკაუტი არ აცდებოდა.

კლიჩკოს გამარჯვება მაინცდამაინც ლაბაში და სანახაობრივი არ გამოდგა, მაგრამ მოკრივე ამისკენ არც ისწრაფოდა. “ბრძოლის ჩემეულ გეგმაში უმთავრესი რისკის მინიმუმამდე დავყვანა იყო,” - განმარტა ცლადიმირ კლიჩკომ. მსაჯეების გადაწყვეტილებით, ვლადიმირმა 10-დან 9 რაუნდი მოიგო, ხოლო მეექვსე რაუნდისთვის მან უდიდესი უპირატესობა მოიპოვა. ატლანტის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, საერთო ჯამში, მაკლანის 100 დარტყმა უთავაზა, თვითონ კი 42 მიიღო.

ცურვა. გერმანელმა ტომას რუპრატმა 100-მეტრიან დისტანციაზე ზურგზე ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა - 50,58 წამი. ეს 0,17 წამით უკეთესია ამერიკელი ნეილ უიკერის შედეგზე, რომელსაც მან 2000 წლის მატჩში ათენის ტურნირზე მიაღწია. მსაჯეებმა, რომლებიც მელბურნში მსოფლიო მათის ეტაპს ემსახურებიან, თავიდან რუპრატს დისკვალიფიკაცია მოუსავეს. თავ ჩათვალეს, რომ რეკორდსმენმა დაარღვია 15-მეტრიანი ზაზი, რომლის ყვითთვის გამოყენების უფლებაც მოცურავეს სტარტის აღების შემდეგ აქვს. თუმცა, საათნახევრიანი ბჭობისა და ვიდეოჩანანერის განხილვის შემდეგ მსაჯეებმა პირველადი გადაწყვეტილება შეცვალეს და სპორტსმენს მსოფლიო რეკორდი ჩაუთვალეს.

პოკეი. “სან-ხოეს შარკსმა” და “ფილადელფია ფლეიერზმა” ბარტერი განახორციელეს - მცველი მაგნუს რაგანსონი პენსილვანიაში გაისტუმრეს, ხოლო მის ნაცვლად კალიფორნიაში დენ მაკილისი გადმოიბირეს. რაგნარსონმა NHL-ში თავისი კარიერის ოთხივე წელიწადი სან-ხოესში გაატარა და მაკი რატეხადან ერთად წველით თამაშობდა. აღსანიშნავია, რომ რაგნარსონი მოპოვებული ქულებით მცველთა შორის ლიგის რეკორდსმენია - მის ანგარიშზე 153 ქულაა. მაკილისის კი მიმდევარე სეზონზე არც ერთი შიბა არ გაუტანია და მხოლოდ ზუთი შედეგიანი გადაცემა გააკეთა.

მიმძე წონოსანმა მსოფლიო ჩემპიონმა, პრიტანელმა ლენოქს ლუისმა კიდევ ერთი სასამართლო პროცესი მოიგო. ამჯერად მან თავისი ყოფილი ადვოკატი მილტონ ჰვასკი დაამარცხა. მანჭეტენის სასამართლომ მას ლუისისთვის მილიონ 175 ათასი დოლარის გადახდა დააკისრა. ჰვასკი იმისთვის დაადანაშაულეს, რომ იგი ლუისის ყოფილ პრომოუტერს - პა-

ნოს ელიადესს უფლებას აძლევდა, ლუისის ანგარიშიდან უკანონოდ მოეხსნა თანხა და თავის ანგარიშზე გადაერცხა. სასამართლოს განმარტებით, ლუისმა დაამტკიცა, რომ ზარისტი ვალდებული იყო, ფინანსური მაქინაციებისა და ინტერესთა კონფლიქტის შესახებ მოკრივე საქმის კურსში ჩაეყენებინა,რადგან ჰვასკი ლუისსაც ემსახურებოდა და ელიადესსაც.

თუმცა, ჰვასკის ადვოკატმა - ჯეტო ეიზენშტეინმა განაცხადა, რომ უმაღლეს სასამართლო ინსტანციაში აპირებს განაჩენის გასაჩივრებას. ეიზენშტეინის განმარტებით, მისი კლეიენტ კვლავ მიიჩნევს, რომ ლუისს პატიოსნად და პროფესიონალურად ემსახურებოდა.

მანჭეტენის “რინგის” დატოვების შემდეგ ლუისმა თავის კოლე-

